გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№133 (889) 16 - 17 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ვინ მოუწყო აჭარაში კახა კალაძეს დივერსია

საქართველოში ავადსახსენებელი მე-9 ბლოკის აჩრდილი გამოჩნდა?!

გვ.7

# ასლანის პროვოკაცია



გვ.3



## ჯიპები



## ლიპები



## „ვიპები“

## კეზერაშვილის ბიჭების პორტირება ახალ ხელისუფლებაში



„საბას“ მეპატრონის, პაატა კაჭარავას სკანდალური ინტერვიუ და გაკუდაკების ისტორია

გვ.5

## „შვილო, შენ დოქსოპულო ხარ!“

## ლარის გაუფასურება სამმა ბობოლა ნაციონალმა დაგეგმა?!

„რა გვეტრაბახება ან ხელისუფლებაში, ან ოპოზიციაში მყოფთ, ან რომელ ეკონომიკურ წარმატებაზე საუბრობენ?“

გვ.6

## „გვირჩევნია, მოწამლულ ჰაერზე ვიცხოვროთ, ვიდრე მშივრები დავიხოცოთ“

რეპორტაჟი დაბა კაზრეთიდან

გვ.8

# ნანა კაკაბაძე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს



რუსუდან შელია
557-100-768

**15 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ — ინიციატივით, საპროტესტო აქცია გაიმართა, რომლის მთავარი მოთხოვნაც სამართლიანობის აღდგენა და მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა იყო. აქციის მონაწილეებს სპეციალური ბლანკების შევსება დაავალეს და, როგორც ნანა კაკაბაძემ განმარტა, ეს მხარდამჭერთა ვინაობისა და პრობლემების გასაცნობად გაკეთდა. რუსთაველის გამზირზე გამართულ მცირერიცხოვან შეკრებას „ქართული დასი“ და „თავისუფალი საქართველოც“ შეუერთდა. აქციის მონაწილეებს სიტყვით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა და უფლებადამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმა მიმართეს, ნანა კაკაბაძემ კი თავისი გამოსვლა რესპუბლიკელების კრიტიკით დაიწყო, დღეს ტრიბუნიდან ჩვენი ხმა კარგად რომ არ ისმის, რესპუბლიკელ ზურა მარაქველიძის „დამსახურებაა“, რომელმაც აპარატურის თხოვებაზე უარი განგვიცხადაო.**

ორგანიზატორებმა აქციის მონაწილეებს საქართველოს ხელისუფლებისადმი სპეციალური მიმართვა გააცნეს, სადაც აღნიშნულია, რომ თუ მმართველი გუნდი სამართლიანობის აღდგენის პროცესს არ დაიწყებს, არ არის გამორიცხული, აქციის ორგანიზატორებმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვონ: **„ხელისუფლების მიერ შეპირებული მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ კანონის მიღებითა და ამ კომისიის ამუშავებით, საზოგადოება მოთმინებით ელოდა უსამართლო სასამართლოების მიერ ბოლო წლებში დადგენილი უსამართლო განაჩენების გადახედვის შესაძლებლობას, თუმცა ამ კომისიის შექმნის გადავადებასთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ ცივი წყალი გადაასხა ჩვენს მოლოდინს. მოვითხოვთ „ქართული ოცნების“ მიერ დაპირებული სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავე პირებისთვის სამართლიანი სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენებს, უდანაშაულოდ და უსამართლოდ მსჯავრდებულ მოქალაქეთა გათავისუფლებას და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების მფლობელებისთვის დაბრუნებას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის ან მათი შესრულების მიმართულებით ხელისუფლების მხრიდან ინერტულობისა და პასიურობის გამოჩენის შემთხვევაში, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოვითხოვთ, რათა „ქართული ოცნების“ დანაპირები იმ პოლიტიკურმა ძალამ შეასრულოს, რომელსაც ამის უნარი, სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ხელისუფლებას დაპირების შესასრულებლად ბოლო ვადა გაზაფხულამდე მისცა:

**„ხალხი სამართალს ითხოვს. ამიტომ ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენაზე უნდა იზრუნოს. თუ ჩვენი მოთხოვნა გაზაფხულამდე არ დაკმაყოფილდა, საქართველოს მასშტაბით, ხალხის მობილიზებასა და საპროტესტო აქციებს დავიწყებთ. პოლიტიკური ლიდერები ხალხს ქუჩაში აუცილებლად დავუძახებთ. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, დედამიწის ზურგზე ვერ იპოვის სოროს, სადაც ქართველი ხალხისგან დამალვას შეძლებს — მას ყველგან მივაგნებთ და სასამართლოს დარბაზის კარამდე აუცილებლად მივიყვანთ“.**

უფლებადამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის მსგავსებაზე ისაუბრა: **„ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოება შეაგუოს აზრს, რომ დამნაშავეები არ დაისჯებიან, წინა ხელისუფლების პირობებში დაზარალებული და უფლებაშელახული ადამიანები კი ქვეყანაში სამართალს ვეღარ იპოვიან. რაც დრო გადის, „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას სულ უფრო ემსგავსება. ბუნების კანონია — დაუსჯელი დანაშაული ყოველთვის ახალ დანაშაულს შობს, ამიტომ ახალი ავტორიტარიზმი და ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას“.**

აქციის დროს ერთ-ერთმა ქალბატონმა გონება დაკარგა და ვიდრე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოჩნდებოდა, მის გვერდით მდგომი მამაკაცი მედიის წარმომადგენლებს უკრძალავდა, რომ ქალბატონისთვის ფოტოები გადაეღოთ — პატიმრის დედაა, მისმა შვილმა ციხეში თავის ჩამოხრჩობა სცადა და ახლა დედამისი ამ მდგომარეობაში რომ ნახოს, თავს აუცილებლად მოიკლავსო. ქალბატონი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში გადაიყვანა.





## ჯანდაცვის სამინისტრო სასწრაფო დახმარების 220 ავტომანქანის შეძენას გეგმავს

შესაბამისი ტენდერი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა. სატენდერო პირობების მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტრო მაღალი გამავლობის, შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილი ავტომანქანების შესაძენად 10 714 000 ლარის დახარჯვას აპირებს.

სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ავტომობილები უნდა იყოს 2013-2014 წლების გამოშვება, უნდა გააჩნდეს სამობილიზაციო საშუალებები, სამედიცინო აპარატურა და მასალები.

ავტომობილზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო დახმარების ავტომობილის განმასხვავებელი წარწერა/სიმბოლიკა, რომელიც წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიწოდებულ საქონელზე უნდა გავრცელდეს გარანტია სამი წლის განმავლობაში ან 150 000 კმ. გარბენზე. ავტომობილის შიდა, სამედიცინო აღჭურვილობაზე კი ხუთწლიანი საგარანტიო ვადა უნდა გავრცელდეს.

სატენდერო წინადადებების მიღება 15 დეკემბერს დაიწყო და 20 დეკემბერს დასრულდება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## 19 დეკემბერს მორიგი საყოველთაო ნათლობა გაიმართება

19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე ჩვილთა მორიგი საყოველთაო ნათლობა გაიმართება, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგების დასასრულს ბრძანა.

პატრიარქის თქმით, 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის დღესასწაულთან დაკავშირებით დილით სამების ტაძარში საზეიმო წირვა ჩატარდება, ხოლო საღამოს ჩვილთა მორიგი ნათლობა გაიმართება.

„საზეიმო წირვას მე შევასრულებ, ხოლო საღამოს ბავშვები მოინათლებიან", — აღნიშნა უწმინდესმა.

საყოველთაო ნათლობა 12 დეკემბერს ბათუმში გაიმართა. პატრიარქის ნათლული 1500 ბავშვი გახდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე ხელისუფლებას სტიქიით დაზარალებული აჭარელი ფერმერების ფინანსური დახმარებისკენ მოუწოდებს

უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე აჭარის რეგიონის მაჟორიტარ დეპუტატებს მოუწოდებს, ინიციატივა გამოიჩინონ და ხელისუფლებას გლეხებზე კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართონ.

**„მართალია, აჭარის მთავრობა ამტკიცებს, რომ მოსახლეობას ციტრუსის ჩაბარების პრობლემა არ აქვს, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. ახლა კი, ამ პრობლემას სტიქიაც დაემატა — დიდთოვლობამ აჭარა-გურიის რეგიონის ფერმერთა უმეტესობას მანდარინის ნახევარზე მეტი მოუკრეფავი დარჩა — დათოვლილი მანდარინი, პრაქტიკულად, უვარგისია და გადამზიდავები მის შესყიდვაზე უარს აცხადებენ, ამიტომ მოვუწოდებ აჭარის რეგიონის მაჟორიტარებს, ცენტრალურ ხელისუფლებასთან დააყენონ შუამდგომლობა, რომ გლეხებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კომპენსაცია გაიცეს“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე.

ამასთან, ბლადაძის თქმით, თუ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ფერმერთა პრობლემებს არ გაითავისებს, აჭარაში შესაძლოა, ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები დაიწყოს.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# ასლანის პროვოკაცია



რეზო შატაკიშვილი

პოლიტიკური კიჩი გრძელდება. ყველაფერი ისეა, როგორც ბიძინა ივანიშვილის დანატოვარ ანეკდოტში. კახი კალაძემ მიტუას — აჭარის ლიდერის ავთანდილ ბერიძის — საკითხის პარტიის კრებაზე დასმა გადაწყვიტა, პასუხიც თითქმის ისეთი მიიღო, როგორც ანეკდოტშია („დასვამთ და იჯდეი რაო“) — თანაც ორ ხმაში — ავთანდილისგან და მურმანისგან. ისტორია ფარსის სახით მეორდება. თუ ადრე გვყავდა ასლანი და ის განზე იწევდა, ახლა გვყავს მურმანი და ავთანდილ ბერიძე და, როგორც გასული კვირის ბოლოს გაირკვა, ისინიც განზე იწევენ — გაიწიეს და ახალი იარლიყები აირტყეს — „მურმან ბაღვაში“ „ყლ(დ)ეკარის ერისთავები“ და ა.შ.

ავთანდილ ბერიძისთვის 83-ათას ლარიანი „ტოიოტა პრადოს“ ყიდვაზე აჟიოტაჟი ატყდა. ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ მკაცრი შეფასება მისცა ამ ფაქტს და განაცხადა, რომ ბერიძის საკითხს „ოცნების“ პოლიტსაბჭო განიხილავდა და რა მივიღეთ პასუხად? გამოხტა მურმან დუმბაძე და რა დაარახუნა? „კომპეტენციურად და ფუნქციურად, კახა კალაძეს არ აქვს უფლება, ზეწოლა განახორციელოს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტზე, ეს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტია“-ო. ისიც დასძინა, „აჭარის ავტონომიის ლიდერს აქვს უფლება, რომ განკარგოს ბიუჯეტი, როგორც თავად მოისურვებს უმაღლესი საბჭო“. თურმე ნუ იტყვით და, ეს ფული „მომჭირნეობით შეგროვილი თანხა“ ყოფილა.

კახი კალაძე აცხადებდა, რომ ავთანდილ ბერიძე ვერ აცნობიერებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას. დაკისრებულ პასუხისმგებლობას კი არა, საერთოდ რამეს აცნობიერებენ ან ავთანდილ ბერიძე ან იმის ადვოკატი მურმან დუმბაძე? წყევლა-კრულვის დიდოსტატ მურმან დუმბაძეს, რაღაც უცნაური წარმოდგენა ჰქონია მომჭირნეობაზე. მაინც საინტერესოა, რაში გამოიხატა მათი მომჭირნეობა — აქამდე 2 მანქანით რომ დადიოდა სერ ავთანდილი? „ტოიოტა პრადოს“ 2012 წლის მოდელით სიარული მომჭირნეობაა? და საერთოდ, ავტონომია ამისთვის უნდათ, რომ როგორი „დილიხორიც“ ექნებათ, ისე ფლანგონ და ფანტონ საბიუჯეტო სახსრები? — „ეტა რაზ“!

რასთან გვაქვს საქმე, სერ მურმანი კალაძეს რომ კომპეტენციურ და ფუნქციურ უფლებებს ახსენებს? ერთგვარ ვირეშმაკობასთან. კახი კალაძეს ეს განცხადება არ გაუკეთებია არც როგორც ენერგეტიკის მინისტრს, არც ვიცე-პრემიერს, გააკეთა როგორც „ოცნების“ გენერალურმა მდივანმა. ირაკლი ღარიბაშვილიც სწორედ პარტიულ ჭრილში შემოიყვანა ამ საკითხზე საუბრისას და ავთანდილ ბერიძის საკითხის გარკვევაც პარტიის პოლიტსაბჭოს მიანდეს. პასუხს პარტიულად სთხოვენ, მურმანი კიდე ავტონომიას ეფარება. დუმბაძე, ახლა რომ ავტონომიურს აწვება, რატომ მაშინ არ აწვებოდა, როცა ივანიშვილის „ხათრიზა“ დეპუტატი გახდა? რა შუაშია ავტონომია და მის უფლებებზე ლაპარაკი, როცა პასუხს გთხოვენ საბიუჯეტო სახსრების ფლანგვაზე, დიახ, ფლანგვაა, როცა საჭიროება არ მოითხოვს და ხარჯავ! როდესაც ბიუჯეტისას ხარჯავ, თორემ შენი ფულით თუ გინდ კენგურუების ფერმა მოაშენე, იმ ჩანთაში ჩაუჯექი და სულ ისე, ხტუნვა-ხტუნვით, იარე სამსახურში. გნებავთ „ს ზონტიკამ, გნებავთ ბეზ ზონტიკა“. ამათ კიდე რა ბრძანეს?

„მანქანას პერსონალიებისთვის არ ვყიდულობთ. უმაღლეს საბჭოში პერსონალიებისთვის არ არის მანქანები, მანქანები არის უმაღლესი საბჭოსი, ყველა, რომელიც აქ არის“, — გვიბრძანა სერ ავთანდილმა. გაიგეთ, თურმე პერსონალიებისთვის არ უყიდიათ, ამ საზოგადოებამ კიდე ერთი ამბავი ატეხა და ეს კახი კალაძეც აჰყვა. ანუ ჩვენ რომ გვეგონა, ბატონი ავთანდილი უნდა ჩამჯდარიყო ამ 2014 წლის „პრადოში“ და ევლო, თურმე აჭარის უმაღლესმა საბჭომ უნდა იაროს. ოღონდ ვერ გავიგე, როგორ — ეს ინსტიტუცია ასე დეპერსონალიზებულად, აბსტრაქტულად ივლის? ბათუმის ქუჩებში ცარიელი „პრადო“ ივლის და ამომრჩეველს ეცოდინება, რომ უმაღლესი საბჭო გადაადგილდება თუ ყველა — მთელი საბჭო ერთად ჩაიპრესება, როგორც ჩვენ ვიპრესებით ყოველდღე ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში და ისე ივლიან? მართლა, ვის აბოლებენ და ეკაიფებიან, კახის, კალაძეს თუ ჩვენ?

საზოგადოების რაღაც ნაწილი, ამ 83-ათასლარიანმა ფლანგვამ კი არ გააცოფა, პირიქით წარსულში ისროლა თავისი ბეცი მზერა — მერე რა მოხდა, ნაციონალებიც ასე ყიდულობდნენო. კი, არც ნაციონალები იკლებდნენ ამქვეყნიურ სიამეებს, მაგრამ იმათ არც ბიუჯეტი ერღვეოდათ მილიარდებზე და არც ბათუმი მიჰქონდა მათ ხელში თოვლსა და უშუქობას, „ეტა რაზ“ და კიდევ — ნაციონალები იმიტომ გადაირჩიეთ და აირჩიეთ ოცნება, რომ ახლა ამათ ეყიდათ ჯიპები, დაედოთ ღიპები და ევლოთ „ვიპებად?“ — თქვენ ხარჯზე, ჩვენ ხარჯზე?

ზოგს ამ ავთანდილის უტიფრობა არ აღიზიანებს და ისევ კალაძის აღშფოთება უშლის ნერვებს, მისი გულწრფელობის არ სჯერა. ესეც მეორე უკიდურესობაა, ყველაფერი, მათ შორის ცხადი სიმართლეც, მიუღებელი იყოს მარტო იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება, თუნდაც კალაძეა მიუღებელი. კალაძე არ მოგწონდეს, არ უნდა ნიშნავდეს იმას, ვისაც კახი სამართლიანად დაარტყამს, ადგე და მის გვერდით დადგე, მეტიც, ადვოკატად დაუდგე კაცს, რომელმაც ასლანის ფეოდალიზმი უკან ჩამოიტოვა და უკან მონათმფლობელობაში გადაიყვანა აჭარა. ბარემ გამოეკიდეთ და მუქთად უტარეთ „ზონტიკი“. ინგლისის დედოფალსაც კი თავის ხელით უჭირავს ქოლგა და ამ ავთანდილს? დადის და დაჰყვება დაცვა ქოლგით. უნდა ნახოთ, როგორი ჰონორით ამბობს „გურია ნიუსთან“ — ეგ კაცი (ანუ დაცვა) მაგაში ფულს იღებსო (?!). ის კი არა, უკვე ლეგენდები დადის, რომ ლიფტში რომ შედის ღილაკს ხელს არ აჭერს, დაცვა აჭერს მის მაგივრად. მისი „ვიაიპ“ თითები არ ეკარება ღილაკებს. საინტერესოა, როგორ იქცევა მისი უმაღლესობა იქ, სადაც მეფენი ფეხით დადიან?

თურმე ნუ იტყვით და, მის პრესსამსახურს განუცხადებია, ბატონი ავთანდილი „ვიაიპ პერსონააო“. მის ვიაიპობაზე ერთი ამბავი იყო ატეხილი. ჟურნალისტებთან, ხან რას იძახდა, ხან რას — ხან „ფაქტი სახეზეაო“ - ანუ „ვიაიპი“ ვარო, ხან დაკუმენტებს იშველიებდა — „ასე წერია ქაღალდზე“, ხან იქით უტევდა ჟურნალისტებს „მე რა მეტყობა ვიაპი პერსონისო“, ხან იქვე მდგარ სულიერ მოძღვარს რთავდა საქმეში — „მოდით, მამა სერაფიმეს ვკითხოთ, ვარ თუ არა მე რამე პერსონა, მამაო? კორესპონდენტი ამბობს, რომ მე ვარ თურმე რაღაც პერსონა, რომელიც მოწიწებას ვიმსახურებ“. ამ კაცს „ვიაიპი“ ხან გაბღენძილობა ჰგონია და ხან „განსაკუთრებული თანამდებობის პირობა“ და ამბობს, დიახ, მე ვარ განსაკუთრებული თანამდებობის პირიო. როგორც ჩანს, მას არავინ განუმარტა, არ უთარგმნა, რას ნიშნავს „ვერი იმპორთენთ პერსონ“ და საერთოდ პერსონა. არ იცის, რას ნიშნავს „პერსონა“, თორემ ასე ალალად არ შეღაღადებდა მოძღვარს — ვარ თუ არა მე რაიმე პერსონა, მამაო.

ალბათ, ამ სტატუსში გაურკვევლობამ უბიძგა დავით მიხეილ შუბლაძეს, „ფეისბუკზე“ თავის სტატუსში, ალტერნატიულად განემარტა ავთანდილის სტატუსი. „რა საინტერესოა ნაცებისა და ქოცების მხრიდანაც, ასევე შუაშისტების მხრიდანაც, არის შეთანხმება, რომ ბატონი ავთო ბერიძე VIP*-ია. **Very Important Penis**“...

კახი დღეს კი არ ტყუის, ძველი რიცხვით ტყუის, რომ ამ კაცის საკითხი აქამდე არ დასვეს და არ გაარკვიეს, თორემ ახლა, აგერ, ატყდა სკანდალი და ტენდერი გააუქმა და ისევ უტიფრად საზოგადოების რეაქციას „ჯანსაღი აჟიოტაჟი“ უწოდა. შენი ზონტიკების მზემ, თუ იცოდი რომ 83-ათასიანი მანქანის ყიდვა აჟიოტაჟს გამოიწვევდა და თანაც ჯანსაღს, რაღას ყიდულობდი? ვერ შესწვდი „პრადოს“ „კალბასს“ და ახლა გაგახსენდა პარასკევი თუ ყურძნის სიმკვახემ ჭამამდე მოგჭრათ კბილები?

მართლაც, რაზე ოცნებობდა აჭარის მოსახლეობა, ამომრჩეველი, როცა მურმანს და ოცნებას ირჩევდა? — გრაფიკით დენზე? დაუხვეტავ, თოვლისგან წალეკილ ქუჩებზე? ჩამპალ მანდარინზე და ამ ყველაფერთან ერთად — ნეოასლანზე? თანაც კარიკატურულ ასლანზე? ყველა ყველა და, ასლან აბაშიძე ასეთი სასაცილო მაინც არ იყო. წაილეკა ბულვარი, ჩალპა მანდარინი, უშუქობამ ჩააბნელა და თოვლმა ააქათქათა ისედაც ქათქათა ბათუმი, დაამატეთ ამას მურმანი, დუმბაძე (ვითარცა მურმანის ეკალი) და კიდევ ასლანის პროვოკაცია — ყოვლად უქოლგესი ავთანდილი და... რა ხდება, ღვთის რისხვაა აჭარის თავს? დავიჯერო ასე უყვარს ღმერთს მიხეილი, რომ ასე სასტიკად სჯის მის წინაშე ჩადენილი უმადურებისთვის ბათუმს?

## სასჯელაღსრულების ხუთ დაწესებულებას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდა. სასჯელაღსრულების №6, №14 და №9 დაწესებულებებს ახალი დირექტორები უხელმძღვანელებენ.

**„შეიცვალნენ №11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულებისა და №5 ქალთა სპეციალური დაწესებულებების ხელმძღვანელებიც. აღნიშნული საკადრო ცვლილებები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან შეთანხმებით განხორციელდა“,** — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ილია მეორე: „ისეთი დროა, როდესაც ადამიანმა ბევრი იცის, მაგრამ სიღრმე და ანალიზი აკლია“

**„ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია ღვთისა და ქვეყნის წინაშე“,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება — ადამიანი, ბუნება, ურთიერთობები და კანონები, თუმცა მთავარია, ადამიანმა დაინახოს რომელი გზით უნდა იაროს, რა არის მართალი და რა არა, ასევე რა არის კეთილი და რა ბოროტი.

**„ძველი რომაელები ამბობდნენ, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად. დღეს ყოველმა ადამიანმა, ქვეყანამ, ერმა, უნდა დაინახოს, სად მიდის. არის ფასეულობა, რომლის დათმობა შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობა ძვირფასია, რადგან ის არის მოციქულთა სარწმუნოება, რომელიც მათ გადმოსცა მაცხოვარმა. ეს არის სიკეთე, სიყვარული, სასოება, იმედი ღვთისა და მომავლისა. ყოველმა ადამიანმა უნდა იფიქროს თავის ოჯახზე, ერზე. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია ღვთისა და ქვეყნის წინაშე, ამიტომ ადამიანმა უნდა იფიქროს უფრო ღრმად“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, ისეთი დროა, როდესაც ადამიანმა ბევრი იცის, მაგრამ სიღრმე და ანალიზი აკლია. **„ანალიტიკური აზროვნება დაქვეითებულია. ადამიანმა უნდა გააანალიზოს წარსული, აწმყო და მომავალი. ხშირია, როდესაც წარსულს ვაიდეალებთ. არიან ადამიანები, რომლებიც პირიქით, წარსულში ყველაფერ ნეგატიურს ხედავენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პერიოდში არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, თუ ესა თუ ის მოვლენა დადებითია, უნდა მივიღოთ, თუ უარყოფითია — არა“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, ადამიანის ცხოვრება განსაცდელი და გამოცდაა, რომელიც ადამიანმა უნდა ჩააბაროს. როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ადამიანის ცხოვრება ურთულესი პროცესია.

**„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანის ცხოვრება არის მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობა, კარგი პირობები, კარგი ოჯახი, ეს ასე არ არის. ადამიანის ცხოვრება უფრო რთული პროცესია, პასუხისმგებლობა ღვთის, ოჯახისა და ერის წინაშე. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რისთვის მოგვავლინა ღმერთმა ქვეყანაზე. ეს ქვეყანა, როგორც მდინარე უნდა განვლოს ადამიანმა და უნდა გადავიდეს იმ ქვეყნად. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ — იხარეთ ორსავ სოფელსა შინა. ადამიანი გახარებულია იმ შემთხვევაში, თუ ღმერთთან აქვს კავშირი. თუ ღმერთია მისი მფარველი და წინამძღვარი. სულიწმინდა უნდა უძღოდეს ადამიანს ქვეყანასა წრფელსა, ანუ მომავალ ქვეყანაში. ღმერთმა ინებოს, ყოველი ადამიანი და მთელი საქართველო დადგეს იმ გზაზე, რომელიც მიგვიყვანს ქვეყანასა წრფელსა. ღმერთმა ინებოს, ყოველმა ჩვენგანმა დაინახოს სად თეთრია, სად შავი, სად კეთილი და სად ბოროტი. ღმერთმა მოგვცეს სიბრძნე და გული გონიერი, რათა კეთილად განვვლოთ ჩვენი გასავლელი გზა“,** — ბრძანა უწმინდესმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

რუსუდან შელია
557-100-768

**უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო უმცირესობის მიერ ინიცირებული დოკუმენტი, რომელიც უკრაინისთვის სოლიდარობის გამოცხადებას ითვალისწინებდა, ჩავარდა. ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, ხელისუფლება რუსეთისგან დაშინებულია და მთავარ პრობლემად პუტინის დასახელებას ვერ ბედავს, მმართველი გუნდი კი ამტკიცებს, რომ შედეგზეა ორიენტირებული და არა პიარკამპანიაზე. რა გავლენას მოახდენს საქართველოზე უკრაინაში მიმდინარე პროცესები და რა ტიპის პროვოკაციებს ამზადებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ? — „ვერსიას“ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საკითხებში ვანო მაჭავარიანი ესაუბრა.**

# ვანო მაჭავარიანი: „რა იქნება ხვალ, გიპასუხებთ ზეგ!“



— რუსეთის ფაქტორის გააქტიურების შემდეგ, უკრაინა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუმცა ვფიქრობ, მოიძებნება ფინანსური, სოციალური თუ პოლიტიკური გზა, რომ უკრაინა ევროპასა და რუსეთს შორის განხეთქილების ვაშლად არ იქცეს.

უკრაინის მიმართ მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებამ, მათ შორის, პრეზიდენტმაც არაერთხელ დააფიქსირა. ვილნიუსის სამიტზე გიორგი მარგველაშვილმა და ვიქტორ იანუკოვიჩმა აზრები გაცვალეს, საქართველოს პრეზიდენტი უკრაინის მედიასაც დიდხანს ესაუბრა.

ბუნებრივია, ოპოზიციას აქვს ფუფუნება, პოლიტიკური ნება ღიად დააფიქსიროს, აქციაზე ჩავიდეს და მომიტინგეებს სიტყვითაც მიმართოს, თუმცა უკრაინა ბევრად დიდი პრობლემის წინაშე დგას, ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, ჩანს და ჩვენი თავშეკავებაც იმითაა განპირობებული, რომ უკრაინას ვითარებაში გარკვევისას ხელი არ შეეშალოს.

**— იმ ფონზე, როცა ევრომეიდანზე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი მივიდა, საქართველოს ხელისუფლების თავშეკავება გამართლებულია?**

— ამ მიმართულებით პოზიცია კონკრეტულად დავაფიქსირეთ და ამის შესახებ, როგორც ევროპის, ისე უკრაინელებისთვისაც კარგადაა ცნობილი. ვილნიუსის სამიტზეც კარგად გამოჩნდა, რომ უკრაინის მიმართ ევროპაში ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბდა — უკრაინას არამხოლოდ რუპორული დიპლომატიით, კონკრეტული ქმედებებით უჭერენ მხარს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ უკრაინა პოლიტიკური მექანიზმების საშუალებით, მართალია მცირე პაუზით, მაგრამ ევროპისკენ სვლას გააგრძელებს.

**— თუ მოვლენები ამ სცენარით არ განვითარდა და უკრაინამ საგარეო ვექტორი რუსეთისკენ გადახარა, ეს საქართველოს ევროპულ პერსპექტივებზე რა გავლენას მოახდენს?**

— უკრაინამ ევროპული კურსი აბსოლუტურად გათვითცნობიერებულად აირჩია, რადგან დამოუკიდებლობის გასამყარებლად, ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და დასაქმებისთვის სწორედ ევროპასთან დაახლოება სჭირდება. ამის რესურსი რუსეთს არ აქვს, თანაც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და უკრაინას საკმაოდ დიდი ხნის ისტორიული, კულტურული თუ პოლიტიკური თანამშრომლობა აკავშირებთ, რუსეთი უკრაინასთან მხოლოდ ზეწოლითა და შანტაჟით ურთიერთობს; ამიტომ მხარეებმა უნდა მოილაპარაკონ, რა ადგილი აქვს უკრაინას ევროპასა და რუსეთს შორის. საუბარია, უკრაინის ევროპასთან დაახლოებაზე და არა ევროპაში შესვლასა და სამხედრო გაერთიანებებში ინტეგრირებაზე. შესაძლოა, ეს პროცესი გაიწელოს, თუმცა ამ გზიდან გადახვევის პოლიტიკური ნება უკრაინის ხელისუფლებაში არ არსებობს. უკრაინის ვიცე-პრემიერმაც განაცხადა, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ.

**— ბატონო ვანო, ისიც ფაქტია, რომ უკრაინის პირველი პირი შეთანხმებას ვერც ევროპასთან ახერხებს და ვერც ოპოზიციის ლიდერებთან...**

— უკრაინის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება როგორც შიდაეკონომიკური, ისე ერის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს, ამიტომ პროცესები საკმაოდ რთულად მიმდინარეობს და მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ. როგორც ჩინელები ამბობენ — რა იქნება ხვალ, გიპასუხებთ ზეგ.

რაც შეეხება მეიდანს, ხალხი ქუჩაში პროტესტის გამოსახატად მას შემდეგ გამოვიდა, რაც ცნობილი გახდა, რომ იანუკოვიჩმა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი შეაჩერა. ვფიქრობ, პროტესტის მასშტაბი წინასწარ ვერ გათვალეს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ფონზე, იანუკოვიჩი როგორც ევროპის, ისე რუსეთისგან უკრაინის ინტერესების გატანას მაქსიმალურად ცდილობს.

**— ანუ მეიდანზე მილიონიანი მარში იანუკოვიჩის სცენარის ნაწილია, რათა ევროპასა და რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობა „სარფიანად“ დაასრულოს?**

— ევროპისთვის, რომელიც თავადაც ფინანსურ კრიზისშია, 20 მილიარდის მოთხოვნა მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ უკრაინაც საკმაოდ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის შანტაჟიც, რაც უკრაინის წინააღმდეგ ენერგეტიკის მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს. ამ რთულ ვითარებას უკრაინის პოლიტიკურ წრეებშიც კარგად აცნობიერებენ, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ოპოზიცია უკრაინის სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე რუსეთის ან ევროპის ინტერესების დაკმაყოფილების მომხრეა. ეს პროცესი დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან უკრაინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე გაჩნდება. ბუნებრივია, მეიდანი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მათ შორის, იანუკოვიჩისთვისაც, თუმცა თითოეული მხარე უნდა შეეცადოს, მოლაპარაკებები სწორად აწარმოოს როგორც ქუჩასთან, ისე მოსკოვთან, ბრიუსელსა და სხვა ქვეყნებთანაც.

**— საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი წელია, უკრაინის მოვლენების ფონზე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებს ქართული მხარე ადეკვატურად უპასუხებს?**

— ბუნებრივია, რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება, საქართველოს წინააღმდეგ ხელთარსებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს. უნდა გავაანალიზოთ ჩვენი ისტორიაც, როცა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით არსებულ ფაქტორებს იყენებდა. მეორე მხრივ, უკრაინისა და სომხეთის მაგალითი უნდა გავითვალისწინოთ, როცა რუსეთი ბოლო წუთამდე იცდიდა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე მაქსიმალური ბერკეტი გამოიყენა როგორც სომხეთის, ისე უკრაინის წინააღმდეგ. შედეგად, სომხეთს საგარეო კურსი რეალურად შეაცვლევინა, უკრაინის შემთხვევაში კი, ევროპასთან დაახლოების პროცესი შეაჩერა. ამიტომ არსებობს საფრთხე, საქართველოს წინააღმდეგაც გარკვეული პოზიტივი შექმნას და უამრავი დაპირება გასცეს, თუმცა ეს ე.წ. სტაფილო იქნება, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში გვაწვდიდნენ, მეორე ხელში ჩვენს წინააღმდეგ უზარმაზარი ჯოხი ჰქონდათ მომარჯვებული, ამიტომ პარტნიორებთან ერთად ამ საკითხზე ვმუშაობთ, რათა ერთიანი ნაბიჯები გადავდგათ და საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე მარტო არ აღმოვჩნდეთ. შემთხვევითი არაა, რომ ტოლერანტულ ქვეყანაში, სადაც 26 საუკუნის განმავლობაში ებრაელებთან თანაცხოვრობის პრობლემა არ არსებობდა, გარკვეულმა ძალებმა ხანუქას დღესასწაულისთვის ხელის შეშლა გადაწყვიტეს.

**— ფიქრობთ, რუსული გეგმის განხორციელებაში ეკლესიაც ჩართულია?**

— მართალია გვიან, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საპატრიარქომ საკმაოდ ადეკვატური რეაქცია გამოავლინა. თავად ეკლესიაც აღიარებს, რომ მის წიაღში მცირე ჯგუფები არიან, რომლებიც გარკვეული თემატიკის ფორსირებას ახდენენ. ზოგადად კი, ეკლესია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ევროპულ იდენტობასთან ჩვენი, ქრისტიანული წარსული გვაკავშირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ევროპასთან დაახლოების შანსი ნული იქნებოდა.

**— საზოგადოების ნაწილს დასავლეთის მიმართ ნიჰილიზმი გაჩნდა. რა მექანიზმი შეიმუშავა ხელისუფლებამ ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა, მართლაც, არსებობს, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. სწორედ არასრული ინფორმაციაა იმის მიზეზი, რომ საზოგადოებაში ნიჰილიზმის ნიშნები იკვეთება. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ევროპასთან დაახლოება და რა შესაძლებლობებს მივიღებთ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. სწორედ ევროპასთან დაახლოება მოგვცემს შესაძლებლობას, რუსეთთან ურთიერთობა ნორმის ფარგლებში დავიწყოთ.

## ჯონ მაკკეინი იულია ტიმოშენკოს ქალიშვილს შეხვდა

უკრაინაში მყოფი ამერიკელი სენატორი, ჯონ მაკკეინი, პატიმრობაში მყოფი ექსპრემიერის, იულია ტიმოშენკოს ქალიშვილს, ევგენიას შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას იულია ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშინას“ პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის გზებზე ისაუბრეს.

ტიმოშენკოს შვილმა ამერიკელ სენატორს ყოფილი პრემიერის ხედვები გააცნო, რომელიც პოლიტიკური კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსვლის გზებს ეხება.

შეხვედრაზე მაკკეინმა ასევე აღნიშნა, რომ მომდევნო კვირას კიევს მისი კოლეგა სენატორი, კრის მერფი ეწვევა. **„ჩვენ უკრაინელი ხალხის გვერდით ვართ“**, — აღნიშნა მაკკეინმა.

***„ინტერპრესნიუსი“***



## „საქველმოქმედო კლუბმა“ ლომაშვილების ოჯახის დასახმარებლად აქცია-კონცერტი გამართა

12 დეკემბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საქველმოქმედო კლუბის“ ორგანიზებით, აქცია-კონცერტი — „ნინოს გახსენება და ქველმოქმედება“ გაიმართა. საღამო ახალგაზრდა პოეტს, ნინო ლაპიაშვილს მიეძღვნა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მომღერლები: გოგა მესხი, ქეთი ორჯონიკიძე, გიორგი ჩიტაური, გიორგი გოგოლაური, თემურ რცხილაძე, ენრიკო ჯანელიძე... ასევე, ფოლკლორული ანსამბლები: „სნო“, „დათვიჯვარი“, „მარიალისი“ და სატელევიზიო პროექტ „ახალი ხმის“ მონაწილეები — ლუკა ნოზაძე, ანი ჩხეიძე, გვანცა მანჯავიძე, თამარ ჯგუშია, სალომე მერებაშვილი, მარიამ დოკვაძე. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სამეჯლისო ცეკვის სტუდია „ვარსკვლავების“ მოცეკვავეები.

ღონისძიებიდან შემოსული თანხა ავჭალაში, ქოხში, უწყლოდ, უშუქოდ და უგაზოდ მცხოვრებ ლომიშვილების ოჯახს გადაეცა.

**მარიამ ონიანი**, „საქველმოქმედო კლუბის“ ერთ-ერთ დამფუძნებელი: ღონისძიებისთვის დიდი ხანს ვემზადებოდით. ჩვენი მეგობარი მომღერლები მონაწილეობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. ლომაშვილების ოჯახიც ბედნიერი იყო, რომ საზოგადოებამ დახმარების ხელი გაუწოდა. ღონისძიებიდან შემოსული თანხით ლომაშვილებს საკვები, წიგნები, სახატავი რვეულები, ფანქრები და ხატვისთვის აუცილებელი სხვა ნივთები შევუძინეთ. 15 დეკემბერს კი,



თოჯინების თეატრში მივიწვიეთ... კმაყოფილები დარჩნენ ნინო ლაპიაშვილის ნათესავები და ახლობლებიც.

**— საქველმოქმედო აქცია-კონცერტებს მომავალშიც გეგმავთ?**

— რა თქმა უნდა — უახლოეს მომავალში საზოგადოებას არაერთ სიახლეს შევთავაზებთ. დარწმუნებული ვარ, მოქალაქეებიც გულისხმიერნი იქნებიან და ლომაშვილების მსგავსად, მცირედით სხვა გაჭირვებულ ოჯახებსაც დავეხმარებით. ჩვენი ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლას სწორედ თანადგომით შევძლებთ.

***რუსუდან შელია***

გიორგი გიორგაძე

# კეზერაშვილის ბიჭების პორტირება ახალ ხელისუფლებაში



„საბას“ მეპატრონის, პაატა კაჭარავას სკანდალური ინტერვიუ და გაკულაკების ისტორია

## „შვილო, შენ დოქსოპულო ხარ!“

**ერთი კვირის წინ, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ წერილს — „დავით კეზერაშვილის კადრებს არჩილ კბილაშვილი ლობირებდა?“ — დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ვიღაცები შეეცადნენ, წერილისთვის პოლიტიკური სარჩული დაედოთ და ლამის მთელი თბილისი ააწრიალეს. ჯერ ერთი, სამინისტროებმა, მინისტრებმა, მათი ადმინისტრაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ და თუ არ იციან, აწი, კარგად დაიმახსოვრონ, რომ „ვერსია“ პოლიტიკურ ინტრიგებში არ მონაწილეობს! მეორეც, თითქმის მთელი თბილისის აწრიალება რაღაცნაირად მედიაზე ზეწოლას ჰგავს და ისე ნუ იზამთ, თქვენს მიერვე აგორებული პოლიტიკური ავანტიურის ლაბირინთებში გაიხლართოთ, მით უმეტეს, რომ ყველაფერი მარტივადაა და საქმე წართმეულ ქონებას ეხება — დატერორებული ბიზნესმენი, რომელსაც ნაციონალებმა ქონება 2006 წელს წაართვეს, ღიად აცხადებს, რომ ადამიანი, რომელიც მის „საქმეს“ მაშინ იძიებდა, დღეს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსია! საუბარია კონსტანტინე (კოტე) ყიფიანზე, რომლის პოზიციის დასაფიქსირებლადაც „ვერსია“ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დაუკავშირდა, თუმცა უშედეგოდ. სხვათა შორის, ჟურნალისტს აქვს უფლება, სტატია თუ ინტერვიუ ფსევდონიმით გამოაქვეყნოს, ან მასალა ერთმა ჟურნალისტმა მოამზადოს, მეორე კი, კომენტარისთვის ამა თუ იმ მხარეს დაუკავშირდეს. ახლა, რაც შეეხება „ნაციონალური გაკულაკების“ მორიგ ფაქტს — 2013 წლის აპრილში, სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, სავაჭრო ცენტრ „საბას“ მფლობელმა პაატა კაჭარავამ მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართა და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საქმის გამოძიება მოითხოვა, თუმცა მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა. პაატა კაჭარავა ხაზგასმით აცხადებს, რომ პოლიტიკური ინტერესები არ ამოძრავებს და მხოლოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, ამასთან იმ პირების დასჯას ითხოვს, რომელთა ზეწოლითაც 6 ჰა მიწის ნაკვეთი, ზედ არსებული შენობა-ნაგებობებით, სახელმწიფოს თითქოს ნებაყოფლობით აჩუქა. აღსანიშნავია, რომ კაჭარავამ ქონების გასხვისება-ჩუქების უფლებაზე მინდობილობა თავის ადვოკატს ორთაჭალის ციხეში მისცა. კაჭარავას თქმით, ნაციონალები მისი ქონებით 2005 წელს მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ფინანსურ პოლიციაში სს „ელექტროაპარატის“ ერთ-ერთმა აქციონერმა, ვლადიმერ ბირკაძემ საჩივარი შეიტანა. საჩივრის შეტანამდე კი, ბირკაძეს კაჭარავასთვის უთქვამს, თუ გინდა რომ გავჩუმდე, 5 ათასი დოლარი გადამიხადე და თუ 30 ათასს მომცემ, სააქციო საზოგადოებიდან საერთოდ წავალო.**

**— ბატონო პაატა, ფინანსურ პოლიციაში ბირკაძემ რა მოტივით გიჩივლათ?**

— თითქოს ვიღაცის აქციები და ქონება მივითვისე.

**— სს „ელექტროაპარატი“ რას აწარმოებდა?**

— ფართომოხმარების საშუალებებს... როცა შევიძინე, ქარხანას მილიონნახევარი ვალი ჰქონდა.

**— რომელ წელს შეიძინეთ?**

— 1996 წლიდან ფულად აუქციონზე აქციების გამოტანა დაიწყო, გამოსყიდვა კი 1999 წელს დავამთავრე.

**— ანუ ქარხანას ეტაპობრივად ყიდულობდით?**

— დიახ და ასე გავხდი ზარალიანი ქარხნის 93 პროცენტის მფლობელი.

**— თუ ზარალიანი იყო, რატომ გამოისყიდეთ?**

— იმიტომ ვიყიდე, რომ წარმოების ოპტიმიზაცია შეიძლებოდა და 2002 წელს, ადგილობრივი ბაზრისთვის, უკვე 200-მდე ახალი პროდუქცია გვქონდა ათვისებული; ამასთან ვალიც დავფარეთ.

**— ქარხანას ბიუჯეტის ვალი ჰქონდა?**

— დიახ, დაახლოებით, 850 ათასი, ასევე, დღგ, მოგებისა და საშემოსავლოს, სახელფასო და კომუნალური გადასახადების დავალიანებებიც დავფარეთ. ისე, იმდროინდელი მილიონნახევარი დღეს 15 მილიონის ტოლფასია. როცა შევიძინე, საწარმო, პრაქტიკულად გაძარცული იყო — დანადგარების მხოლოდ 5 პროცენტი მუშაობდა...

**— ამასობაში, „საბა“ დააფუძნეთ, რომელიც დღეს უკვე ბრენდია?**

— „საბა“ სავაჭრო სახლია, რომელიც 1992 წელს შექმნილი შპს „ელექტროპლასტის“, ასე ვთქვათ, ბაზაზე შეიქმნა...

**— ბატონო პაატა, წინა ხელისუფლების დროს სახელმწიფოს სს „ელექტროაპარატი“ აჩუქეთ თუ „საბა“?**

— „ელექტროაპარატის“ ნაწილი... ის შენობა, სადაც ავეჯის ბაზრობა „საბა“ გავხსენით, თავის დროზე გერმანელმა ტყვეებმა ააშენეს, თუმცა განადგურებული იყო... ბაზრობების რეორგანიზაცია რომ დაიწყო, ქალაქის მერიას შევთავაზეთ, გვაქვს თავისუფალი ფართი, რომელიც წარმოებისთვის არ გამოიყენება, ამასთან დამოუკიდებელი მისასვლელები აქვს და შეიძლება, ავეჯის ბაზრობისთვის გამოდგესო. მერიას ეს ტერიტორია მოეწონა, თან სხვებზე უკეთესი პირობებიც გვქონდა, მაგალითად, პირველი სამი თვე მოვაჭრეებისთვის უფასო იქნებოდა.

**— მერიისგან არ გიგრძნიათ, რომ ბიზნესის წილში ჩაგიჯდებოდათ?**

— არა...

**— ბატონო პაატა, თქვენი ინფორმაციით, ქონების წართმევის, ასე ვთქვათ, სქემა ფინანსური პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, დავით კეზერაშვილმა თვითონ შეიმუშავა თუ სხვის მითითებებს ასრულებდა?**

— როგორც ვიცი, კეზერაშვილი იღებდა გადაწყვეტილებას, ვისთვის რა წაერთმიათ და ყველაფერ ამაში თავისი ქვემდგომები ეხმარებოდნენ.

**— ეს ქვემდგომები ვინ იყვნენ, იცით?**

— მაგალითად, ჩემი საქმის გამომძიებელი კეზერაშვილის მარჯვენა ხელი კოტე ყიფიანი იყო, რომელიც დღეს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსია...

მას შემდეგ, რაც ფინანსურ პოლიციაში საჩივარი შევიდა, თავს დაგვესხნენ.

**— რას ნიშნავს, თავს დაგესხნენ?**

— 2005 წლის ბოლოს, თუ არ ვცდები, ნოემბერში, რამდენიმე სამოქალაქოფორმიანი ადამიანი შემოვარდა, მათ შორის, კოტე ყიფიანი და ფინანსური პოლიციის პირველი სამმართველოს უფროსი, გვითხრეს, ფინანსური პოლიციიდან ვართო და ჩხრეკა დაიწყეს... საბუთები წაიღეს და ძიება ექვსი თვე გრძელდებოდა.

**— ამ ექვსი თვის განმავლობაში არაფერს გთხოვდნენ?**

— ადვოკატებს ეუბნებოდნენ, ბიუჯეტში 500 ათასი გადაიხადოსო.

**— ამ თანხის გადახდას, უშუალოდ, ვინ გთხოვდათ?**

— გამომძიებელი ყიფიანი.

**— ამ შეთავაზებაზე რატომ არ დათანხმდით?**

— მართალი ვიყავი და რატომ უნდა გადამეხადა?! ისე, მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ საქართველოში ახალი „კოლექტივიზაცია“ იყო დაწყებული!..

**— არ გიცდიათ, კეზერაშვილთან ან იმდროინდელი ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსანთან შუამავალი მოგეძებნათ?**

— ვიდრე არ დამიჭირეს, არაფერი მიცდია, დაჭერის შემდეგ კი გამოსავლის ძებნა დავიწყე.

**— როდის დაგიჭირეს?**

— 2006 წლის 28 ივნისს... შინიდან გამოვედი და ვიგრძენი, რომ უცხო მანქანა მომყვებოდა, სადაც სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანები ისხდნენ. ჯერ გავერიდე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ, მანქანა გავაჩერე და აფთიაქში შევედი, ისინიც შემომყვნენ და მითხრეს, ფინანსური პოლიციიდან ვართ და ჩვენთან უნდა წამოხვიდეო.

**— მანამდე თვალთვალი არ შეგინიშნავთ?**

— დამყვებოდნენ, მაგრამ უდანაშაულო ვიყავი და, ვფიქრობდი, რა უნდა მიყონ-მეთქი. მერე კი, ციხეში რომ ვიჯექი, მხოლოდ ჩემს ცოლს კი არა, თანამშრომლებსაც უთვალთვალებდნენ. ეგონათ, ფულიანი მფარველი მყავდა და ვერ წარმოედგინათ, რომ ყველაფერს დამოუკიდებლად მივაღწიე.

**— მას შემდეგ, რაც ფინანსურ პოლიციაში მიგიყვანეს, რა მოხდა?**

— კოტე ყიფიანის კაბინეტში შევედით. ყიფიანი რაღაცებს მეკითხებოდა, ვუსაბუთებდი, ასე კი არა, ასეა-მეთქი, მაგრამ ჩემი პასუხები არ აინტერესებდა და ვუთხარი, შვილო დოქსოპულო ხარ-მეთქი. სხვათა შორის, თავიდან ცალკე ოთახში გამიყვანეს და თანამშრომლობა შემომთავაზეს, ვინმე „ჩაუშვიო“.

**— ცალკე ოთახში ვინ გაგიყვანათ?**

— კოტე ყიფიანმა... ამის შემდეგ, რაღაც საბუთები შეადგინეს. მახსოვს, ერთმა პროკურორმა თქვა, დასაჭერი არაა და ხელს არ მოვაწერო, მერე სტაჟიორი მოიყვანეს...

**— რა ბრალდება წაგიყენეს?**

— თითქოს 7 მილიონის სახელმწიფო ქონება მივითვისე, ასევე თაღლითობასაც მედავებოდნენ...

**— ბრალდებები არ გააპროტესტეთ?**

— მაგათთან გაპროტესტებას რა აზრი ჰქონდა?.. ფინანსური პოლიციიდან „კაპეზეში“ გადამიყვანეს, ორი-სამი დღის შემდეგ სასამართლომ ორთვიანი პატიმრობა მომისაჯა. ორი თვე ორთაჭალის ციხეში, ე.წ. ფაშისტებში ვიჯექი. ბრძოლის ჟინით ვიყავი შეპყრობილი და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა გავასაჩივრე, სამი მილიონი გირაო შემიფარდეს, მაგრამ ფული არ მქონდა და შევთავაზე, რომ ჩემი ქონების ნაწილს გირაოში ჩავდებდი, მაგრამ ეს ქონება იპოთეკით იყო დატვირთული და სასამართლომ უარი განაცხადა...

ერთხელ, ადვოკატების ოთახში კოტე ყიფიანი შემხვდა და ვუთხარი, ჯერ ერთი, მართალი ვარ, მეორეც — ქონება იპოთეკითაა დატვირთული და როგორ წაიღებთ-მეთქი, მაგრამ მიპასუხა — ნახავ, თუ ვერ წავიღებთო. სხვათა შორის, ადეიშვილთან შუამავლები მივაგზავნე, მაგრამ მან თქვა — ეგ კეზერაშვილის თემააო და დასძინა — ამ კაცს ამდენი ქონება თუ ჰქონდა, აქამდე რატომ არ ვიცოდითო... ამასობაში, ჩემს ბინას ყადაღა დაადეს და ცოლ-შვილი ქუჩაში მრჩებოდა... კოტე ყიფიანმა ისიც მითხრა, თუ ფულის გადახდაზე ან ქონების დათმობაზე არ წახვალ, შენს ყველა თანამშრომელს დავიჭერთო. ჩავთვალე, რომ მხოლოდ უდანაშაულო ხალხის კი არა, ჩემი ქონების ნაწილის გადარჩენაც შეიძლებოდა, ამიტომ ქონების ის ნაწილი დავთმე, რომელიც მათ აინტერესებდათ... ციხეში ჩემს ადვოკატზე, გიგა კვერენჩხილაძეზე გავეცი მინდობილობა და ამის საფუძველზე, ნოტარიუსმა მერი ბუბაშვილმა ჩემი ქონება სახელმწიფოს გადაუფორმა.

**— ქონების რა ნაწილზე იყო საუბარი?**

— დაახლოებით, 6 ჰა-ზე, მე კი, 5500 ჰა დამრჩა.

**— სავაჭრო სახლ „საბას“ გადაფორმებას არ გთხოვდნენ?**

— კი, მაგრამ გავჯიუტდი, თან როგორც ჩანს, თვითონაც ეჩქარებოდათ... დაჭერით ჩემს თანამესაკუთრე ირინა ვაჭარაძესაც ემუქრებოდნენ.

**— საკანში მარტო იყავით?**

— არა, ხუთნი.

**— ისინიც ბიზნესმენები იყვნენ?**

— არა, თუმცა ბევრი ბიზნესმენი იყო დაჭერილი.

**— ბატონო პაატა, როგორც ვიცი, სტიქაროსანი ხართ, არ გიცდიათ, დახმარება უწმინდესისთვის გეთხოვათ?**

— მათ ქონება ან ფული უნდოდათ, რასაც ვერავინ და ვერაფერი გადაათქმევინებდა.

**— მაშინ ყველაფერ ამას ცალკეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების გადაჭარბებად მიიჩნევდით თუ სისტემურ დანაშაულად?**

— რა თქმა უნდა, სისტემური დანაშაული იყო — ყველაფერი სააკაშვილისგან მოდიოდა! 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში „ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა, მეორე წრეზე შემოგვივლიდნენ და ყველაფერს წაგვართმევდნენ. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, შინიდან იმ იმედით არასოდეს გამოვსულვარ, რომ საღამოს დავბრუნდებოდი.

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, წართმეული ქონების დასაბრუნებლად სამართალდამცავებს არ მიმართეთ?**

— 2013 წლის აპრილში მთავარ პროკურატურაში განცხადება შევიტანე, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

**— თქვენი აზრით, რატომ?**

— ხელისუფლებაში ისევ ძველი ჩინოვნიკები არიან, რომლებიც გამოძიებას ხელს უშლიან, თუმცა მას შემდეგ, რაც მთავარი პროკურორი შეიცვალა, ვიმედოვნებ, მათ, ვინც ხალხის გაუბედურებაში მონაწილეობდნენ, სამსახურიდან გაუშვებს, საქმეებს ხელახლა გამოიძიებს და სამართლიანობა აღდგება!

**p.s.„ვერსია“ ამ თემაზე მუშაობას განაგრძობს.**

## ვერსიანიუსი

### კეზერაშვილის ხაზინადარს ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა

სამართალდამცველებმა თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის მეგობარი და პარტნიორი ალექსანდრე ნინუა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ტარების ბრალდებით დააკავეს. ნინუა კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ბოლო დროს კი საქართველოში კეზერაშვილის ბიზნესს კურირებდა. ამავდროულად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალექსანდრე ნინუა გიგა ბოკერიას ნათესავია.

გამოძიება 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ადვოკატ მამუკა მდინარაძის თქმით კი, ბრალდებულმა თავად მოახდინა დაპატიმრების პროვოცირება. საქალაქო სასამართლომ ალექსანდრე ნინუას აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

*„ვერსიანიუსი“*

# ლარის გაუფასურება სამმა ბობოლა ნაციონალმა დაგეგმა?!



„რა გვეჭრაბახება ან ხელისუფლებაში, ან ოპოზიციაში მყოფთ, ან რომელ ეკონომიკურ წარმატებაზე საუბრობენ?“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ორ კვირაზე მეტია, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში, 3-4 პუნქტით მერყეობს. რამდენიმე დღეა, ბენზინისა და დიზელის საწვავი უმნიშვნელოდ, 2-4 თეთრით გაძვირდა. 5-10 თეთრის ფარგლებში კი პირველადი სახის პროდუქტის ფასი გაიზარდა. დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე „ვერსიასთან“ საუბრისას სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ღიად აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის საკმაოდ გავლენიანი ჯგუფი, სხვადასხვა სამინისტროში „ჩანერგილი“ საკუთარი კადრების საშუალებით, ახალ ხელისუფლებას ჩუმ საბოტაჟს უწყობს. ეროვნული ბანკი, სადაც არაფერი შეცვლილა, ამის ნათელი მაგალითია — დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ წინა ხელისუფლების მესვეურებს ქვეყნის მთავარ ბანკში გავლენის სფეროები ისევ აქვთ, საქართველოს ეკონომიკა კრიზისშია, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალია და შესაბამისად, ლარის კურსის რყევა ეროვნული ბანკის მიერ ხელოვნურადაა ინსპირირებული, რათა საზოგადოებას ხელისუფლების უნდობლობა გაუჩნდეს.**

ბოლო რამდენიმე წელია 1 ლარი 1.67 აშშ დოლარზე ფიქსირდებოდა და კურსი არ იცვლებოდა, ახლა კი 1.67 აშშ დოლარიდან ჯერ 3 პუნქტით — 1.64-ზე დაეცა, შემდეგ 1.67-ის ფარგლებში დაბრუნდა, რამდენიმე დღის წინ, 4 პუნქტით — 1.71 აშშ დოლარის ფარგლებში გამყარდა. რეალურად, არ არსებობდა წინაპირობა, რაც ეროვნული ვალუტის ასეთ ცვლილებას გამოიწვევდა. ქვეყანაში არ არის ეკონომიკური ზრდა, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 600 000 000 ლარის დეფიციტია, 2014 წლის ბიუჯეტში კი პრიორიტეტული სფეროების — განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსება შემცირდა. მეტიც — იმისთვის, რომ სახელმწიფომ შიდა ხარჯი დაფაროს ანუ პენსია-ხელფასები გასცეს და სოციალური ვალდებულებები გაისტუმროს, პროცენტიანი შიდავალი აიღო. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, ასეთ პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსის უმნიშვნელო რყევაც კი საეჭვოა და კითხვის ნიშნებს აჩენს:

**„მართალია, დიდი ცვლილება არ დაფიქსირებულა, მაგრამ გაუგებარია, რამ შეცვალა კურსი. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ლარის კურსს შეცვლიდა. სეზონური ფაქტორი არაფერ შუაშია, შესაძლოა, მხოლოდ ზეწოლაზე ვისაუბროთ. გავყვეთ ლოგიკას: არ ვარ სუბიექტური, არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის ეროვნულმა ბანკმა 180 000 000 აშშ დოლარი გაისროლა, გაყიდა. სად არის ეს ფული ან რა შეიცვალა? ლარის კურსის სტაბილიზაცია აუცილებელია, რადგან ეროვნული ვალუტის კურსი საშიშ თამაშს იწყებს და თუ არ მოუვლი, ყველაფერი თავზე დაგემხობა. თუ ვითარებას ხელიდან გავუშვებთ, ლარის კურსი 2014 წლის ბიუჯეტს დაანგრევს. აუცილებელია, ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, ამის გარეშე ვერავითარი განცხადება დასავლურ ორიენტაციაზე — ნატო-სა და ევროკავშირზე ვითარებას ვერ შეცვლის. წინა ხელისუფლებამ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა სერიოზულად ხელყო, ამიტომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ეროვნული ბანკი ავტონომიური არ არის. მეტიც, წინა ხელისუფლების მესვეურებს ეროვნულ ბანკში გავლენის სფეროები ისევ რჩებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მესმის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სიჯიუტე, რომელიც ხელისუფლების შეცვლისთანავე არ გადადგა. ბუნებრივია, ჩნდება საფრთხე, რომ ეკონომიკაში შექმნილი სირთულეები ახალ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლისთვის გამოიყენონ, მდგომარეობა გაართულონ და საზოგადოებას დაანახონ, რომ მთავრობა ვალდებულებებს თავს ვერ ართმევს. თუ ვინმე მეტყვის, რომ წინა მთავრობის გავლენიანი ჯგუფი, სამინისტროებში არსებული საკუთარი შტატების საშუალებით, ხელისუფლებას ჩუმ საბოტაჟს არ უწყობს, გამეცინება. სერიოზული მობილიზება ხდება, რომ ახალ მთავრობას არაფერი გამოუვიდეს“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას დემურ გიორხელიძე.

ვინ არიან ნაციონალური მოძრაობის გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ახალ ხელისუფლებას ჩუმ საბოტაჟს უწყობენ და პოლიტიკური რევანშისთვის ემზადებიან? დემურ გიორხელიძე ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებს, მაგრამ ერთ ამბავს იხსენებს: დაახლოებით, 6-7 წლის წინ, ქვეყანამ 30 000 000 ლარით იზარალა — ერთ-ერთ პარასკევს, საღამოს, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მოულოდნელად მკვეთრად დაეცა, წინ შაბათ-კვირა იყო და ხალხმა დოლარის შეძენა ვერ მოასწრო. „მწვანე პარასკევის“ გამო, რამდენიმე ადამიანმა, მათ შორის, კახა ბენდუქიძემ საკმაოდ დიდი ფინანსური მოგება ნახა. „მწვანე პარასკევის“ ე.წ. ავტორად სწორედ მას მოიაზრებდნენ. კახა ბენდუქიძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი — ესაა გავლენიანი ჯგუფი, რომელთა ინტერესშიც ეკონომიკური საბოტაჟი შედის. შესაბამისად, ყოველგვარი ეკონომიკური საფუძვლების გარეშე, ლარის კურსს ახლაც, ალბათ, სწორედ ეს ჯგუფი „ათამაშებს“. ამ სქემაში გიორგი ქადაგიძე ისეთივე „შემსრულებელია“, როგორც ბენდუქიძის კადრები სხვადასხვა პროფილის სამინისტროებში.

პარალელურად, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური „საქსტატი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ 2013 წლის მესამე კვარტალში ქვეყნიდან 312 000 000 აშშ დოლარი გავიდა. „საქსტატის“ ინფორმაცია იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის გავლენიანმა წარმომადგენლებმა ქვეყნის საზღვრებსგარეთ დიდი ოდენობის თანხა გაიტანეს? წინა ხელისუფლება პოლიტიკური რევანშისთვის ემზადება? როგორც დემურ გიორხელიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რაკი ეკონომიკის სფეროში ყველა ბობოლა ხელუხლებელია და თავისუფალ ჯგუფებს განვითარების საშუალებას არ ვაძლევთ, ძველი ხელისუფლების ბობოლები გავლენის ბერკეტებს ინარჩუნებენ. დემურ გიორხელიძე ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის რეალურ გზას სთავაზობს:

**„ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, მთავრობამ ეკონომიკური აქტივობა ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა გაზარდოს; ამასთან პირობა უნდა შექმნას, რომ ქვეყანაში, დაახლოებით, 150 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელოს, რაც ლარის რყევას მომენტალურად შეაჩერებს. წინა ხელისუფლება ყრუ, თავხედი და თვითნება იყო, არაფრის გაგონება რომ არ უნდოდა, კისერი ამიტომაც მოიტეხა. ნებისმიერი ყრუ ხელისუფლება, რომელიც არავის უსმენს, დამარცხებისთვისაა განწირული. საქართველოს ეკონომიკაში მძიმე მდგომარეობაა და ამას სისტემური მიდგომა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ეკონომიკა ხელიდან გაგვიქრება. რა გვეტრაბახება ან ხელისუფლებაში, ან ოპოზიციაში მყოფთ, ან რომელ ეკონომიკურ წარმატებაზე საუბრობენ, არ მესმის! განსაკუთრებით იმ ხალხის გამკვირვებია, ვინც ბოლო 22 წელია ქვეყნის დაგლახავება-დაჩაჩანაკების უშუალო მონაწილეა“.**

ლარის კურსის რყევას ავტომატურად მოჰყვა ბენზინის, დიზელის საწვავისა და პირველადი მოხმარების პროდუქტების გაძვირება. მართალია, ქვეყანაში უმნიშვნელო ინფლაციაა, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას დიდი ძალისხმევა მოუწევს, რომ ეკონომიკური სადავეები არ გაექცეს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საწვავი 3-4 თეთრით გაძვირდა, სხვადასხვა პროდუქტზე კი ფასები 5-10 თეთრით გაიზარდა, რაც ლოგიკაში არ ჯდება. „ვერსიასთან“ საუბრისას ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომპოვებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, **ვანო მთვრალაშვილმა** აღნიშნა, რომ ბენზინი ორმა კომპანიამ უმნიშვნელოდ გააძვირა:

**„ამ ეტაპზე, „ვისოლმა“ „სუპერის“ ფასი 2 თეთრით, ხოლო „პრემიუმი“ 3 თეთრით გაზარდა. „გალფმა“ კი „პრემიუმი“ ორი, „რეგულარი“ — 4 თეთრით გააძვირა. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისი ფასი მხოლოდ „სოკარმა“ გაზარდა 5 თეთრით. „რომპეტროლსა“ და „ლუკოილს“ ფასების კორექტირება არ მოუხდენიათ. საშუალოდ, ეს 2-5 თეთრიანი მატებაა, რაც ორ ფაქტორს უკავშირდება. პირველი — ნოემბრიდან დღემდე, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა და მეორე — ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან მიმართებაში, თუმცა გადაჭრით თქმა, რომ საწვავი მხოლოდ ლარის კურსის რყევამ გააძვირა, არ შეიძლება, თან საგანგაშო ვითარება არ არის და არც ფასის მატებაა კატასტროფული“.**

ვანო მთვრალაშვილი კატეგორიულად გამორიცხავს, რომ საწვავის გაძვირებას პროდუქტების ფასის ზრდა მოჰყვება და, მისი თქმით, გარკვეული ჯგუფები ამ ვითარებით, უბრალოდ, სპეკულირებენ. ამასთან, მთვრალაშვილი აცხადებს, რომ საწვავის ფასის 2-3 თეთრით ზრდამ ინფლაცია არ უნდა გამოიწვიოს. რაც შეეხება დიზელის საწვავს, „სოკარმა“ 5 თეთრით იმიტომ გააძვირა, რომ ნავთობპროდუქტის ფასმა აზერბაიჯანშიც მოიმატა.

საქართველოს, აზერბაიჯანის გარდა, დიზელის საწვავი რუსეთიდანაც შემოაქვს. რამდენიმე დღის წინ, რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ წლის ბოლოს ქვეყანას საბიუჯეტო დეფიციტი და ინფლაცია ემუქრება, რადგან რუსეთის ფედერაციაში შემავალ ოლქებსა და რესპუბლიკებში საბიუჯეტო კრიზისია — გაზრდილი სოციალური ვალდებულებების გამო, ცენტრმა რეგიონებს ტრანსფერები შეუმცირა. ვანო მთვრალაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთის კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე არ აისახება და არც რუსული დიზელის იმპორტი შეფერხდება:

**„მართალია, დიზელის საწვავი რუსეთიდან შემოდის, მაგრამ რუსეთის საბიუჯეტო კრიზისი ჩვენზე გავლენას, სავარაუდოდ, ვერ მოახდენს; რომც მოახდინოს, ნავთობპროდუქტის მოწოდება დივერსიფიცირებულია. სხვათა შორის, ამ მხრივ კრიზისი 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც კი არ შექმნილა და შეუძლებელია, ახლა შეიქმნას“.**

ვერსიანიუსი

## ყველაზე მსხვილი ინვესტორები საერთაშორისო ორგანიზაციები არიან




2013 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საერთაშორისო ორგანიზაციებმა განახორციელეს. სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის, „საქსტატის“ ინფორმაციით, მეორე კვარტალში, საერთაშორისო ორგანიზაციებმა 8 100 000 აშშ დოლარის ინვესტიციები გაიტანეს, მესამე კვარტალში კი საქართველოში 48 900 000 აშშ დოლარის ინვესტიცია შემოიტანეს. ინვესტიციების განხორციელების მხრივ, მეორე ადგილზეა აშშ, საიდანაც მესამე კვარტალში 35 400 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. მესამე ადგილზეა ნიდერლანდები — 31 700 000 აშშ დოლარის ინვესტიციით. საქართველოში ინვესტიციები შემცირდა თურქეთიდან, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან პირიქით, გაიზარდა. 17-ჯერ გაიზარდა ინვესტიციები მალტიდან და 29 000 000 შეადგინა. მთლიანობაში, მესამე კვარტალში, საქართველოში 238 700 000 აშშ დოლარის უცხოური კაპიტალი შემოვიდა, რაც წინა კვარტალთან შედარებით, 3ს%-ით მეტია.

***BPI***

## ევროკავშირი საქართველოს 27 მილიონ ევროს გამოუყოფს



სამუშაო ადგილების ბაზრის მართვისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირი საქართველოს 27 მილიონ ევროს გამოუყოფს. როგორც ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნული, დაფინანსება „აღმოსავლეთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ (EAPIC) პროგრამის ფარგლებში გამოიყო. ამასთან, საქართველოს გარდა, ევროკავშირმა 35 მილიონი ევრო გამოუყო მოლდოვას, 25 მილიონი ევრო კი — სომხეთს. ჯამში, პროგრამის მთლიანი თანხა 87 მილიონი ევროა. **„წელს სამი აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყანა დაჯილდოვდა დემოკრატიული გარდატეხისა და ფუნდამენტური ფასეულობების ერთგულებისთვის გაწეული ძალისხმევისთვის. ვიმედოვნებთ, ეს ჯგუფი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. დამატებითი დაფინანსება ნიშნავს ნაციონალური რეფორმებისა და გაერთიანებული პროგრამების უფრო მეტ მხარდაჭერას, რომელსაც კონკრეტული სარგებელი მოაქვს მოქალაქეთა ცხოვრებაში“,** — განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ. EAPIC პროგრამა დაფინანსებას უწევს აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ ქვეყნებს, რომლებიც პროგრესს აღწევენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების რეფორმების გატარებაში.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ენერგოდივერსია თუ სტიქია — საქართველოში ავადსახსენებელი მე-9 ბლოკის აჩრდილი გამოჩნდა?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ერთი კვირაა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, აჭარაში 90-იანი წლების აჩრდილი დაძრწის, ეგაა ოღონდ — აჭარას ასლან აბაშიძე, საქართველოს კი ედუარდ შევარდნაძე არ მართავენ. დიდთოვლობის გამო, მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზები გაითიშა — ბათუმელებს რამდენიმე დღე შუქი არ ჰქონდათ; დიდთოვლობამდე, აჭარის სანაპიროს შტორმმა გადაუარა და პორტში პროდუქტით დატვირთული გემები გაჩერდა. ქვეყანაში ფორსმაჟორული ვითარება შეიქმნა და მთავრობამ სრული მობილიზაცია გამოაცხადა.**

ENERGO-PRO



კახა კალაძე „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას საქმეს ურჩევს

ფორსმაჟორმა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში არსებული ხარვეზები გამოავლინა, მაგალითად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოპერატიულად რომ ემოქმედა, რიკოთის უღელტეხილი არ ჩაიკეტებოდა, ტექნიკურ მარილსაც დროულად დაყრიდა და გზებიც არ მოიყინებოდა. თვითმმართველობის კანონპროექტი ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ როგორც ჩანს, მინისტრი თბილისის სავარაუდო მერობის ეშხში ისე შევიდა, ლამის, მთავარი ფუნქცია დაავიწყდა. აჭარაში შექმნილმა პრობლემებმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხარვეზიც გამოაჩინა — უშუქობის გამო, მეწარმეები სალარო აპარატებს ვერ რთავდნენ და ამიტომ მაღაზიები, სუპერმარკეტები და მარკეტები დაკეტეს. ხომ შეიძლებოდა, სამსახურის უფროსს განცხადება გაკეთებინა, რომ ფორსმაჟორის გამო, ერთი-ორი კვირა ბათუმის მაღაზიებს სალარო აპარატების გარეშე ემუშავათ? ცალკე პრობლემაა ელექტრონული ზედნადების არშევსების თემაც, რომელიც მეწარმეებს, ჯერ არავინ იცის, რა რაოდენობის ჯარიმის სახით შეუტრიალდებათ. ცხადია, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური პასუხი კანონმდებლობის სრული დაცვისკენ მითითება და იმის შეხსენება იქნება, რომ არავის აქვს კანონის დარღვევის უფლება ანუ ვერც ერთი მეწარმე სალარო აპარატის გარეშე ვერ იმუშავებს. გასაგებია, მაგრამ ქვეყნის კანონმდებლობა ფორსმაჟორულ ვითარებაში, განსაკუთრებულ რეჟიმში მოქმედებასაც ხომ ითვალისწინებს? მერე რა, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი დააცარიელა, განა მაშინვე არ დაგვამშვიდეს — სამაგიეროდ, მთავრობის სარეზერვო ფონდია სავსეო?

მთავარი პრობლემა, მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სახით, ენერგეტიკის სამინისტროს შეექმნა. სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, დიდთოვლობამ ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა, რის გამოც დასავლეთ საქართველოში 155 000 აბონენტს დენის მიწოდება შეუწყდა. მთლიანად გაითიშა ხულოს, ქედას, ბაღდათისა და ვანის რაიონები. სამუშაო ბრიგადები 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ და რამდენიმე დღის წინ, 90-იანი წლების მსგავსად, ბათუმში ელექტროენერგიის მიწოდება გრაფიკით აღდგა. ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ ეს პრობლემა კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაუდევრობით ახსნა, ამასთან მინისტრის არ გამორიცხავს, რომ აჭარაში მაღალი ძაბვის ყველა გადამცემი ხაზის მწყობრიდან ერთდროულად გამოსვლა დივერსია იყოს:

**„ათიათასობით აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე სწორედ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაუდევრობით დარჩა. კომპანიამ ვერ შეძლო მის საკუთრებაში არსებული ქსელის გამართულად მუშაობა, ამიტომ დავიბარებთ ხელმძღვანელობას და კატეგორიულად მოვთხოვთ, თანხები გამოყოს. ნება იბოძონ და ამ მიმართულებით ინვესტიციები განახორციელონ, რომ ქსელი მოაწესრიგონ. კომპანია ძირითად აქცენტს მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე აკეთებს, რაც ჩემი აზრით, დანაშაულია, რადგან ქსელი მოუწესრიგებელია და ამინდის ცვლილების გამო, რეგიონებში ელექტროენერგია მაშინვე ითიშება. პირველ რიგში, ქვესადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, ამის მერე კი ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი გაგრძელებულიყო“.**

ბოლო 20 წელია, ელექტროგადამცემი ხაზები ქართული ენერგეტიკის აქილევსის ქუსლია. „ვარდების რევოლუციამდე“, 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი კოდორის ხეობაში, ერთ-ერთი სვანის ეზოში გადიოდა. მთავრობის ყურადღება რომ მიექცია, ოჯახის უფროსი, სისხამ დილით, ეზოში გამოვიდოდა, მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზს „კალაშნიკოვს“ ესროდა და დასავლეთ საქართველოს ჩააბნელებდა... ორ-სამ საათში, შევარდნაძის მთავრობის წევრები მასთან მოსალაპარაკებლად მიდიოდნენ და ვერტმფრენით ხან ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდათ, ხან პირველადი მოხმარების პროდუქტი და მედიკამენტები. უნდა ვაღიაროთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების პრობლემა კონკრეტულად ამ ნაწილში მოაგვარა, მაგრამ მასშტაბურ რეაბილიტაციას საშველი არ დაადგა.

რას ნიშნავს კახა კალაძის მკაცრი ტონი ან რატომ დაუპირისპირდა მინისტრი „ენერგო-პრო ჯორჯიას“, რომელიც ელექტროგადამცემი ხაზების ნაწილს ფლობს, ნაწილი კი კვლავ „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაშია? რა უნდა უთხრან ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას? „ვერსიას“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, **ილია ელოშვილი** ესაუბრა.

— მინისტრის განცხადება შემთხვევითი არ არის. დიდი ხანია, „ენერგო-პროსთან“ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ მის საკუთრებაში არსებული ქსელის მდგომარეობა უფრო მეტ ყურადღებას ითხოვს, კომპანიის აზრით კი, მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება უფრო მნიშვნელოვანია და ყურადღება ამაზე გადაიტანა. ფორსმაჟორულმა ვითარებამ რეალურად გვაჩვენა, რომ ორი აზრი არ არსებობს — ჩვენ უნდა დავსხდეთ, დავილაპარაკოთ, რათა „ენერგო-პრომ“ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მის საკუთრებაში არსებული ქვესადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მოწესრიგებას. რაც მთავარია, კომპანიამ საგანგებო შემთხვევებში, მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს რეაგირება. აი, ამ საკითხებს განვიხილავთ დეტალურად და პრობლემების დამალვას ან ხელის დაფარებას არავინ აპირებს.

**— ბატონო ილია, ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია?**

— ეს კომპლექსურად გადასაწყვეტი საკითხია და ასე მარტივად ანუ მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზების პრობლემა არ არის, რადგან აქ მენეჯმენტში არსებული პრობლემებიც გამოიკვეთა.

**— აღიარეთ, რომ ბოლო ერთი კვირაა დასავლეთ საქართველო, განსაკუთრებით კი აჭარა, 90-იან წლებში დაბრუნდა, ეს რისი ბრალია?**

— არავითარ შემთხვევაში არ გვინდა, პრობლემებზე თვალი დავხუჭოთ ან დავმალოთ. რა თქმა უნდა, იდეალური მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია, მით უმეტეს იმ ფონზე, რაც რეალურად დაგვხვდა. რაც შეეხება 90-იან წლებს, ვერავინ უარყოფს, რომ ეს ფორსმაჟორი იყო, რის გამოც დასავლეთ საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; ადგილობრივებიც კი ამბობდნენ, 25 წელია, რეგიონში მსგავსი დიდთოვლობა არ ყოფილაო — თოვლი, ქარბუქი, ჭექა-ქუხილი და წვიმა ერთდროულად იყო... ბათუმში სამი ალტერნატიული ხაზია და სამივე გაითიშა, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. რაც მთავარია, დიდი ზიანი მიადგა „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს — „პალიასტომი 1“-სა და „პალიასტომი 2“-ს. ახლა „პალიასტომი 2“-ის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 150-კილომეტრიანი ხაზია. სამი დღე თოვლსა და წვიმაში ვმუშაობდით და არ გავჩერებულვართ. უამინდობის გამო იმის საშუალებაც არ გვქონდა, ტერიტორია ვერტმფრენით დაგვეთვალიერებინა და დაზიანებული ადგილები სხვაგანაც გვენახა. მხოლოდ „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კი არა, „საქრუსენერგო“ და ყველა კომპანია ერთობლივად მუშაობს, რომ ძირითადი ხაზები აღდგეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სამინისტრო და ის კომპანიები, რომლებიც ჩვენს დაქვემდებარებაშია, მაქსიმუმის მაქსიმუმს ვაკეთებთ.

**— „ენერგო-პროს“ წარმომადგენელი გეტყვით, რომ ელექტროგადამცემი ხაზების დიდ ნაწილს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ფლობს და კერძო კომპანიამ რეაბილიტაცია როგორ უნდა განახორციელოს?**

— ამას ვერავინ გვეტყვის, რადგან იმ ხაზებს, რასაც „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ფლობს, ექსპლოატაციასაც თვითონ უწევს. შესაბამისად, ნებისმიერ დაზიანებასა და რეაბილიტაციაზეც „სახელმწიფო ელექტროსისტემაა“ პასუხისმგებელი.

„ვერსია“ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ავთო დვალიშვილსაც** დაუკავშირდა.

**„არავის აქვს ილუზია, რომ საქართველოს ელექტროქსელებში იდეალური ვითარებაა, თუმცა „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს, ეს პროცესი არ დასრულებულა, გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს სოფლები, სადაც კომუნალური გამრიცხველიანებაა და კომპანია ამ სოფლების ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოებს ატარებს. ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებას ქსელის რეაბილიტაცია მოსდევს, რაც თანამედროვე მრიცხველის დამონტაჟებისთვის აუცილებელია. ათეული მილიონობით ლარის ინვესტიცია განვახორციელეთ და ინვესტიციების ჩადებას მომავალშიც ვაპირებთ. გამრიცხველიანების პროცესის დასრულების შემდეგ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი ქსელების მასშტაბურ რეაბილიტაციასა და იმ სამუშაოებზე გადაერთვება, რაც უშუალოდ, ავარიული ვითარების აღმოფხვრას უკავშირდება. მუშაობის დაწყებამდე ჩვენთვის პრიორიტეტი იყო — საქართველოში კომუნალური მრიცხველი აღარავის ჰქონოდა, პრობლემა კი იმიტომ შეიქმნა, რომ ბოლო წლებში ასეთი მძიმე კლიმატური პირობები არ ყოფილა — სადენები გაიყინა. წარმოიდგინეთ, თოვლი, ყინვა და ქარიშხალი ერთდროულად დაემთხვა, რასაც ვერც ერთი განვითარებული სახელმწიფოს ელექტროგადამცემი ხაზები და ქსელები ვერ გაუძლებს.. ელექტროქსელები მოძველებულია — მას შემდეგ, რაც საბჭოთა საქართველომ ექსპლოატაციაში გაუშვა, მათ გამოცვლაზე აღარავის უზრუნია და ეს მოძველებული ქსელი ჩაიბარა „ენერგო-პრო ჯორჯიამ“, მაგრამ როგორც კი გამრიცხველიანების ეტაპს დავასრულებთ, ქსელების მასშტაბურ რეაბილიტაციას დავიწყებთ“.**

ვერსიანიუსი

## საქართველოში კარტოფილის დეფიციტია



„არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, საქართველოში წელს თითქმის ორჯერ ნაკლები კარტოფილი მოვიდა“, — აცხადებს ფერმერი და მეთესლეობის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი, ვართი ჰოვანესიანი.

ფერმერის თქმით, სამცხე-ჯავახეთში, რომელიც კარტოფილის ძირითადი მწარმოებელი რეგიონია, ბოსტნეულის საბითუმო ფასი სექტემბრიდან ორჯერ გაიზარდა და კილოგრამზე 1.20 ლარი შეადგინა.

**„როგორც ვიცით, მეზობელ ქვეყნებშიც დაბალი მოსავალი იყო, მათ შორის, თურქეთსა და ირანში. აზერბაიჯანიდან კარტოფილის საყიდლად ბევრი კლიენტი ჩამოდის, მაგრამ რეგიონში საკმარისი კარტოფილი არ არის“,** — ამბობს ფერმერი.

დეფიციტის კიდევ ერთი მიზეზი საზღვრებზე გამკაცრებული ფიტოსანიტარული კონტროლია, რის შედეგადაც ქვეყანაში ბოსტნეული ნაკლები რაოდენობით შემოდის. მაგალითად, სულ რაღაც ერთი თვის წინ, სომხეთიდან ექსპორტირებული 500 ტონა დაავადებული კარტოფილი, საზღვრიდან უკან გააბრუნეს. ვართი ჰოვანესიანის თქმით, კარტოფილი სომხეთშიც გაძვირდა და 1 კგ. 1.0 ლარი ღირს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ ინფორმაციით, კარტოფილის იმპორტი შარშანდელთან შედარებით, 5-ჯერ შემცირდა და იანვარ-ოქტომბერში, 1 137 000 აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, მთავრობის მხრიდან სურსათის უვნებლობის გამკაცრებულ პოლიტიკას ფერმერები მიესალმებიან.

**„ძველი ხელისუფლების პირობებში, პროდუქციის ხარისხი საერთოდ არ კონტროლდებოდა, საზღვრები გახსნილი იყო და ყველაფერი უპრობლემოდ შემოდიოდა. დაავადებულ კარტოფილს მოსახლეობა სათესლედაც იყენებდა და უხარისხო, იაფფასიან იმპორტთან კონკურენციის გაწევა ძალიან გვიჭირდა. ჯერ მოსავალი აღებული არ გვქონდა, რომ თურქული კარტოფილით ივსებოდა საწყობები“,** — აცხადებს ფერმერი თენგიზ გულიაშვილი.

*BPI*

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# „გვირჩევნია, მოწამლულ ჰაერზე ვიცხოვროთ, ვიდრე მშივრები დავიხოცოთ“




**ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში ოქროს საბადოს მუშების საპროტესტო აქციას ის შედეგი მოჰყვა, რომ ადმინისტრაციამ ხელფასი მოუმატა, მაგრამ წარმოების პროცესით გამოწვეული მძიმე ეკოლოგიური პრობლემები კვლავ სახეზეა და დროულ ჩარევას საჭიროებს. ადგილზე ჩასვლა და არსებული რეალობის საკუთარი თვალით ნახვა გადავწყვიტე.**

თბილისი-კაზრეთის სამარშრუტო მიკროავტობუსს დაბის ბოლომდე მივყვები. ამის შემდეგ უკვე სოფელი ბალიჭია, რომლის მაცხოვრებლებიც მოპირდაპირედ, საყდრისის ახალ საბადოზე მუდმივი აფეთქებებით შეწუხებულნი არიან. პროტესტს კი გამოთქვამენ, მაგრამ ღიად ვერ იბრძვიან, რადგან სოფლელები წარმოებაში არიან დასაქმებულნი და საარსებო წყარო აქედან აქვთ შექმნილი. კაზრეთშიც ანალოგიური ვითარებაა — ორივე მხარეს საბადოებში აფეთქებებია, ჰაერი მოწამლულია, დაავადებების მაჩვენებელი კატასტროფულ ზღვარსაა მიახლოებული, მაგრამ მავნე წარმოების გაჩერებას, მაინც ასეთ ყოფაში ცხოვრება ურჩევნიათ. მართლაც ურთულესი მდგომარეობაა, საიდანაც რეალური გამოსავალი არ ჩანს.

თუმცა სჯობს, უშუალოდ, კაზრეთელებსა და ბალიჭელებს მოვუსმინოთ. დასახლების მეორე ბოლოში, პატარა მაღაზიაში შევდივარ. მფლობელ-გამყიდველი ცისნამი ხიზანიშვილი აქ, დაახლოებით, 40 წელია ცხოვრობს. ადრე საბავშვო ბაღში მუშაობდა, მერე „ქვეყანა რომ აირია“, ჯერ ბაზარში გავიდა სავაჭროდ და მერე გარკვეული თანხა რომ შეაგროვა, საკუთარი მაღაზია გახსნა. დღეს მისი მთავარი სატკივარიც ისაა, რომ კაზრეთის მოსახლეობას მოწამლულ ჰაერზე უწევს ცხოვრება: **„ვიცით, რომ ოქროს დამუშავება ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს. კაზრეთში ჯანმრთელი არავინაა, თითქმის ყველას სახსრები სტკივა, დაავადებები მომატებულია... მეც ჩიყვი და სისხლძარღვების შევიწროება მაქვს. მოწამლული ჰაერის პრობლემას, ალბათ, არაფერი ეშველება, ქარხანა რომ დაიკეტოს, ხალხი უსაქმოდ დარჩება. გვირჩევნია, მოწამლულ ჰაერზე ვიცხოვროთ, ვიდრე მშივრები დავიხოცოთ. როგორ უნდა გაუმჯობესდეს წარმოება, ვერაფერს გეტყვით, ეს საკითხი უფროსობის გადასაწყვეტია, ამის გამო, კომუნალურ გადასახადებზე მაინც გარკვეული შეღავათები არ გვაქვს. იქნებ უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაგვიტარონ, ესაა ჩვენი მთავარი მოთხოვნა. სამ თვეში ერთხელ მაინც გამოიკვლიონ ადამიანები, რომ უბედურებას თავი დავაღწიოთ. სამედიცინო პოლისი უნდა გაუმჯობესდეს, რეალურ დახმარებას ვერ ვიღებთ იმ ფონზე, როცა წარმოების გამო მოსახლეობის უმეტესობა დაავადებულია“.**

მთავარ ქუჩაზე, კიდევ ერთი მაღაზიის გამყიდველი მერი ასლამაზაშვილიც ამბობს, რომ კაზრეთში ლამის ყოველი მეორე ავადმყოფობს. პირადად მას, შვილი „ცე“ ჰეპატიტით ჰყავს ავად და საშუალება არ აქვს, რომ სათანადოდ უმკურნალოს: **„როდესაც რეზერვში გასაწვევად ჩვენი ახალგაზრდები გამოიძახეს, ჩავიდნენ და ყველა „დაბრაკეს“. ბავშვს ვეკითხები, რატომ დაბრუნდი, შვილო, რამე ხომ არ დააშავე-თქო, არაფერი, თურმე ღვიძლი მაწუხებს და რაც ბიჭები ვიყავით, კაზრეთელები, ყველა ამ მიზეზით გამოგვისტუმრესო. დავფიქრდი, ამ ბავშვებს რა სჭირთ-მეთქი. მერე ჩემი ხელფასით ერთი ძვირადღირებული ანალიზი ძლივს გავაკეთეთ, იმას კი ვეღარ გავწვდით, რომ ვუმკურნალოთ. მასობრივად ასეთი მდგომარეობაა, ქალები ძირითადად, ონკოლოგიური ავადმყოფები ვართ, ბავშვები, ახალგაზრდები გაუბედურებულები არიან. ჩემი რძალი მაინც დასაქმონ, რომ ქმარს ხელი შეუწყოს და წამალი იყიდოს, მეტს არაფერს ვითხოვთ; იქნებ დაზღვევის პოლისი გააუმჯობესონ, რომ რეალური დახმარება მივიღოთ, არსებულით სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ. ხელფასის მომატებას ველოდებით, რომ კიდევ კრედიტი გამოვიტანოთ და შვილს ვუმკურნალო. მთავრობის წინააღმდეგ ვერ წავალთ, მაგრამ რამენაირად უნდა მოგვხედონ, რომ ასეთ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. არჩევნების მერე მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ოქროს წარმოების მუშები გაიფიცნენ, ხელფასების მომატება მოითხოვეს და მიაღწიეს კიდეც“.**



**უნდა გვქონდეს. აქ დაუსაქმებელიც ძალიან ბევრია, ცხოვრება უჭირთ. ბანკებმა ხალხი ისეთ დღეში ჩააგდო, თავს ზემოთ ვეღარ წევენ. ადამიანები ჯერ მიიზიდეს, ეგონათ, საარსებო წყარო გაჩნდა, მაგრამ მერე ვალები დაედოთ, ოჯახებს პურის ფულის პრობლემა აქვთ... შეიძლება ჩვენთან, მაღაზიებთან ვალში იყვნენ, მაგრამ ბანკში მიდიან და კრედიტს იხდიან“.**

ადგილობრივმა ასტან კალანდაროვმა დაბის გამგებელთან განცხადება დაწერა და თვეზე მეტია წარმოებაში სამუშაოს ელოდება; ამბობს, რომ ორივე მხარეს საბადოს მუშაობის მიუხედავად, კაზრეთის 60 პროცენტი უმუშევარია და მის მსგავსად, სამსახურს ჯანღონით სავსე ბევრი ახალგაზრდა ელის: **„სახლში ექვსნი ვართ, ავადმყოფი ბავშვი მყავს, რაც თავი მახსოვს, უმუშევარი ვარ. მერვე წელია, მამაჩემი სამსახურიდან გაათავისუფლეს, 47 წლის კაცს, ბებერი ხარო, უთხრეს. გამოდის, მოხუცმა არ უნდა ჭამოს და იარსებოს. მეც ახლა მივმართე სამსახურის დაწყების თხოვნით, კაზრეთის ახალმა გამგებელმა გვითხრა, პრობლემა არ იქნება, ყველანაირად დაგეხმარებითო. მარტო მე კი არა, სხვებსაც პირდება დასაქმებას. ერთი თვის წინ განცხადება დავწერე და ჯერ გამოხმაურება არ ყოფილა. კაზრეთში ნახევარზე მეტი უმუშევარია და ყველა დასაქმებას ელოდება. გაჭირვებით ვცხოვრობთ, ხან მამაჩემი გვეხმარება, ხან თურქეთში მივდივარ შავ სამუშაოზე“.**

შუა დასახლებაში ასაკოვანი ადამიანი, ვინაობის გამხელის გარეშე შემომჩივის, რომ მოსახლეობას ორივე მხარეს საბადოებზე მუდმივი აფეთქების ხმა აწუხებს, ჰაერი მოწამლულია, მაგრამ ვერაფერს ამბობს, თუ როგორ უნდა ეშველოს ამ პრობლემას: **„ასეთი მდგომარეობის გამო, აქ მხოლოდ ბეღურები დარჩნენ, მერცხლები უკანმოუხედავად გაფრინდნენ. თავის დროზე, 11 ათასი კაცი ცხოვრობდა კაზრეთში, დღეს მესამედით მაინც იქნება შემცირებული. აქაურობა, ძირითადად, ბერძნებმა და აზერბაიჯანელებმა დატოვეს, დარჩენილებს არსებული გარემოს გათვალისწინებით, არანაირი შეღავათი**

ერთადერთი, ვინც კაზრეთელ მუშა-მოსამსახურეებს საპროტესტო აქციაში ბოლომდე გვერდით დაუდგა, ეკოლოგი და უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი და მისი ორგანიზაცია „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფია“: **„ქვეყანაში არსებული შრომითი ურთიერთობა, კაზრეთის ოქროს მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოში მძიმედ იყო ასახული. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ მასშტაბური ეკოლოგიური დაბინძურების საწარმოები, მუშებთან მიმართებაში ელემენტარულ შრომით და უსაფრთხოების ნორმებს არ უზრუნველყოფდნენ. მოულოდნელი იყო გარემოება, რომ მუშა-მოსამსახურეები ათი დღის განმავლობაში გაფიცულები ყოფილან და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მერვე დღეს თქვენგან, „ვერსიისგან“ მივიღე, როდესაც თემაზე კომენტარი მთხოვეთ. როგორც ჩანს, ინფორმაციის შეზღუდვის მცდელობას ჰქონდა ადგილი. მეცხრე დღეს, როგორც „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის“ თავმჯდომარე, ადგილობრივების თხოვნით ადგილზე ჩავედი, სულ ოთხი ადამიანი ვიყავით. მუშა-მოსამსახურეებთან ერთად საპროტესტო აქცია ჩავატარეთ, მოთხოვნებს იურიდიული და გამართული სახე მივეცით. აქციის ლიდერებს წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდათ „ერემჯი გოლდისა“ და „ერემჯი კუპერის“ წარმომადგენლებთან, რომ მათთან შეხვედრა შედგებოდა. ვურჩიე, თუნდაც დარღვევით დაწყებული გაფიცვა გაეგრძელებინათ და ბოლომდე ებრძოლათ; თუ შედეგი არ იქნებოდა, სამ დღეში, უკვე ოჯახის წევრებთან ერთად სრულმასშტაბიანი გამოსვლა დაწყებულიყო. მიდგომამ საბოლოო ჯამში გაამართლა, მეორე დღეს კომპანიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, მოთხოვნები დიდწილად დაეკმაყოფილებინათ, 50%-იანი ხელფასის დანამატი მიიღეს მუშა-მოსამსახურეებმა. კომპანიას არჩევანი არც ჰქონია, რადგან კაზრეთში სამუშაოდ, ათასრვაას ადამიანს ციდან ვერ ჩამოიყვანდნენ, მით უმეტეს, მომწამვლელ და ლამის, სასიკვდილო გარემოში. ზეწოლისა და საინფორმაციო ბლოკადის პირობებში, მუშებთან ერთად შედეგს მაინც მივაღწიეთ, ამისკენ მოვუწოდებ ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენელსაც. ძალიან გახარებულნი ვართ, რომ ათასობით ოჯახს სოციალური შეღავათი მივეცით. სამწუხაროდ, მსგავს მდგომარეობაში არიან ჭიათურის, ტყიბულის, სხვა დიდი საწარმოების თანამშრომლები, რომლებსაც, პრაქტიკულად, მონურ პირობებში უწევთ შრომა და ულირსი დამოკიდებულების მსხვერპლნი არიან. მოვუწოდებ, იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის, მათი გადარჩენა, პირველ რიგში მათივე ხელშია და ჩვენი ორგანიზაცია გვერდში დგომას პირდება — რითიც შეგვიძლია, დავეხმარებით და წარმატებული მაგალითებიც გვაქვს. პრეცედენტს განვითარება სჭირდება, მოვუწოდებ, იგივე ეკოლოგიასთან დაკავშირებით პრინციპულობა გამოიჩინონ, კაზრეთში მძიმე ეკოლოგიური ვითარებაა, უსაფრთხოების ნორმების გაზრდის მიზნით, კაზრეთელებსა და ბალიჭელებთან ერთად ვაპირებთ ბრძოლას ისევე, როგორც სვანეთში ვიბრძვით ხაიშელების გვერდიგვერდ“...**

კაზრეთში არსებული რეალობა ბევრ კითხვისნიშანს ბადებს, რასაც პასუხი უნდა გაეცეს. ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანებს დასაქმებისა და საბანკო კრედიტების გადახდის გამო, მოწამლულ ჰაერზე ცხოვრება არ უნდა უწევდეთ. ერთხელ და სამუდამოდ, ე.წ. მავნე წარმოებებმა კეთილი უნდა ინებონ და, ყოველდღიური მუშაობა ისე წარმართონ, ხალხი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე არ დააყენონ. ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ადამიანია და ეს აქსიომა ვინმეს თუ არ ესმის, კანონისა და ელემენტარული სამართლიანობის სახელით უნდა შეაგნებინონ.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

1. შეჯიბრებაში ბოლო ადგილზე გასული გუნდი
2. უხეში ბალანი ღორის ზურგზე
3. ყველაზე მსხვილი არტერია
4. მოკლე სტანდარტული ამოცანა
5. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში
6. ინდონეზიის დედაქალაქი
7. ნაცისტური გერმანიის ავიაციის მინისტრი
8. ლატვიის დედაქალაქი
9. ჩქარი ტემპი მუსიკაში
10. კოღოს ერთ-ერთი სახეობა
11. ერთნახადი სუსტი არაყი
12. გარგრის ჩირი
13. ხელოვნური წყალსაცავი
14. ფინეთის თვითსახელწოდება
15. ზევსის დედა
16. კოლუმბიელი მომღერალი ქალი
17. ავსტრალიური ხვლიკი
18. საკუთარი სახელების შემსწავლელი დისციპლინა
19. კამერუნის დედაქალაქი
20. მდინარე საფრან-გეთში
21. ინდუისტთა სულიერი მოძღვარი
22. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
23. ციტრუსი
24. კედლის სანათი
25. ტბა იტალიაში
26. თერძის იარაღი
27. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპაში
28. გერმანელი მწერალი
29. აზერბაიჯანის დედაქალაქი
30. „გამზრდელის“ პერსონაჟი
31. ბერძნული ანბანის მესამე ასო
32. მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე
33. თხების ჯოგი
34. ფრანგი ფეხბურთელი ტიერი ...
35. ოტელოს მტერი
36. სოფელი ახმეტის რაიონში
37. ძველ-რომაული შოუს მონაწილე
38. ბუდას დედის სახელი
39. ინგლ. სიგრძის საზომი ერთეული
40. ავტორი რომანისა „წითელი და შავი“
41. ზოდიაქოს ნიშანი
42. რაიმე პროცესის ცალკეული სტადია
43. კვერცხუჯრედის გამოსვლა საკვერცხედან
44. პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულში
45. ედისონის ერთ-ერთი სახელი
46. მადამ ბოვარის სახელი
47. კლდეში ნაკვეთი ქალაქი გორის რაიონში
48. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
49. მსხვილი სეტყვა
50. მითიური ცალთვალა გოლიათი
51. საგანთა ჩამონათვალი
52. ორკესტრის ხელმძღვანელი
53. დაბალი ხე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით
54. ქრისტეს თორმეტმოციქულთაგანი
55. დათა თუთაშხიას ვაჟის სახელი
56. ინგლისელი ნობელიანტი დრამატურგი
57. ფუნაგორია ხოჭო ერთგვარი
58. ლეგენდარული ქართველი ფალავანი
59. მდიდრული აგარაკი
60. სოიას ხაჭო
61. მსახიობი ბრედ ...
62. ლონდონის ისტორ. ციხე
63. შინაური თხის ერთ-ერთი წინაპარი
64. ხურდა ფული სკანდინავიის ქვეყნებში
65. პატარა სასადილო იტალიაში
66. მუსიკალური გამის VI ნოტი
67. დეკორატიული ყვავილი
68. საფქვილე ყუთი წისქვილში
69. წამლის ბურთულა
70. კოსმეტიკური ფირმა „...-ფაქტორი“
71. ვირის გასარეკი შეძახილი
72. სარწყავად გაჭრილი პატარა არხი
73. წარმოშობით იტალიელი ამერიკელი მოკრივე ... მარჩიანო
74. ხის ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი იმერეთში
75. ზღვის პატარა ყურე
76. სოფლის ნაწილი
77. ბგერის ანარეკლი
78. სოფელი ქედის რაიონში
79. კომისარი „ფანტომასში“
80. ისრაელის წარმოების ავტომატი
81. ეპოქა იაპონიის ისტორიაში
82. მაგარი ქანი
83. აბელის და კაენის დედა
84. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
85. ნივთიერება, რომელიც არ კრისტალდება
86. გერმანიის აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვარი ალბრეხტ ...



# ცნობილების ანტირეიტინგი შეადგინეს

ამერიკულმა ჟურნალმა ცნობილი ადამიანების სია შეადგინა, რომელთა გავლენაც საზოგადოებაში უარყოფითია. ანტირეიტინგში მოხვდნენ მსახიობები, პოპვარსკვლავები, სპორტსმენები და პოლიტიკოსები, ისინი, ვინც ბოროტად სარგებლობს საკუთარი პოპულარობით.

2013 წელს პოპულარული გამოცემის უარყოფით ჩამონათვალს სათავეში ყოფილი კალათბურთელი დენის როდმანი ჩაუდგა — ის ჩრდილოკორეის დიქტატორ ლიდერთან, კიმ ჩენ ინთან მეგობრობისთვის „დაიწუნეს“, რომელიც „საკუთარ ხალხს აშიმშილებს და ხოცავს“;

სიაში მეორე ადგილი მზარეულმა და ტელეწამყვანმა პოლა დინმა დაიმსახურა — ანტირეიტინგში იგი რასისტული გამონათქვამების გამო მოხვდა (შავკანიან მუშებს „ნიგერებს“ უწოდებს);

მესამე საფეხურზე ყოფილი კონგრესმენი ენტონი ვინერია, რომელიც სექსსკანდალის გამო გადადგა. ჟურნალმა მას „ყველაზე საცოდავი გარყვნილი“ უწოდა.

ანტირეიტინგში მოხვდნენ ასევე მომღერალი მაილი საირუსი, რომლის გამოსვლამაც „ემ-ტი-ვის“ დაჯილდოებაზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ბრიტანეთის ახალშობილი პრინცი ჯორჯი — პატარას დაუწუნეს, რომ მისი ამქვეყნად მოვლინება და ცხოვრება ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ანტირეიტინგში მოხვდა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა — ის უსაქმურობისთვის დაიწუნეს... აღსანიშნავია, რომ პოპულარული გამოცემა ცნობილი ადამიანების ანტირეიტინგს უკვე მესამედ აქვეყნებს. შარშან ლიდერთა სამეულს მით რომნი, მსახიობი ამანდა ბაინსი და მადონა იკავებდნენ.





# ჰოროსკოპი
## 16 დეკემბერი

**ვერძი** — კარგი დღეა კომერციული ოპერაციებისთვის, საქმიანი აქტიურობისთვის. მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან — შეეცადეთ, დიდი ხნის ნატვრა აისრულოთ.

**კურო** — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა აქტიური დასვენებისთვის. ფიზიკური ვარჯიშისთვის. ვარსკვლავები ხელს უწყობენ ყველანაირ ინიციატივას — ნებისმიერი მგზავრობა წარმატებული იქნება.

**ტყუპები** — ვარსკვლავები გირჩევენ, ხელები დაიკაპიწოთ და ენერგიულად შეუდგეთ საქმეს. შესაძლებლობა მოგეცემათ ბიზნესსაქმიანობა გაააქტიუროთ. თავი აარიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს.

**კირჩხიბი** — თავი ოჯახს მიუძღვენით და შეეცადეთ, „წესრიგი დაამყაროთ“ საკუთარ გრძნობებში. შეგიძლიათ, ახალ პროექტებზე დაფიქრდეთ, მაგრამ დიდ საქმეებს ნუ წამოიწყებთ.

**ლომი** — მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის — წარმატება გელით. მთავარია, ზედმეტად არ ენდოთ ახალგაცნობილ ადამიანს, რომელმაც შესაძლოა უსიამოვნო ვითარებაში გაგხვიოთ.

**ქალწული** — წარმატებული იქნება ნებისმიერი წამოწყება, საქმიანი შეხვედრა, რაც თქვენს კარიერულ წინსვლას უკავშირდება. მხოლოდ ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული გარშემომყოფების მიმართ.

**სასწორი** — ახლა გაქვთ შანსი გეგმები განახორციელოთ და დასახულ მიზანს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიოთ, მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში სამსახურის გარდა სხვა ფასეულობებიც არსებობს.

**მორიელი** — პასიური დღეა, რომელიც არ შეიტანს სერიოზულ ცვლილებებს ცხოვრებაში. მშვიდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობები, დაკავდით სახლის კეთილმოწყობით.

**მშვილდოსანი** — არ არის სასურველი მოგზაურობა და მნიშვნელოვანი კონტრაქტის გაფორმება. იყავით თავდაჯერებული და მაქსიმალურად ეცადეთ, გაერიდოთ კონფლიქტურ ვითარებას.

**თხის რქა** — დღე სიმშვიდესა და წონასწორობას გპირდებათ. შესაძლოა, დღეს ვითარების ბატონ-პატრონი გახდეთ. არ არის გამორიცხული ოჯახური უთანხმოება, ამიტომ დრო დასვენებას დაუთმეთ.

**მერწყული** — ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან — ძლიერდება სექსუალური პოტენციალი. იმედი გქონდეთ, რომ თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

**თევზები** — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. თუ კვირის განმავლობაში არ გადადგით გაუაზრებელი ნაბიჯი, პოზიტიური ცვლილებები გარდაუვალი იქნება.

# ბავშვს ძაღლივით ზრდიან



ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში მცხოვრები 11 წლის ბავშვი, სახელად ზილი, ფსიქიკური პრობლემების გამო, ოჯახის წევრებმა ავი ძაღლივით დააბეს. ადამიანებისთვის რომ არაფერი დაეშავებინა, მამის გადაწყვეტილებით, ბიჭი ცხოველივით გამუდმებით ჯაჭვითაა დაბმული — როცა სძინავს, ჭამს თუ ოჯახის რომელიმე წევრთან ერთად გარეთ სეირნობს. პატარამ თავზე ტრავმა მაშინ მიიღო, როცა ჯერ კიდევ წლის იყო, რის გამოც ფსიქიკური პრობლემები დაეწყო. ბავშვის ახლობლები მედიასთან საუბარში აცხადებენ, რომ ზილის დაბმა ერთადერთი გამოსავალი იყო — სხვებთან ურთიერთობაში იგი აგრესიულია. ბავშვს დედა რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა და მამა ზრდის ინვალიდ ბაბუასთან ერთად.

# კანადელებს მუშაობაში ხელს უძილობა უშლის



კანადელი მოსახლეობის შრომისუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უძილობაა. მხოლოდ პატარა პროვინცია კვებეკში, რომელიც მოსახლეობაც 7 მილიონს შეადგენს, უძილობის სამკურნალოდ წელიწადში დაახლოებით 6,5 მილიარდი დოლარი იხარჯება, — ეს თანხა Hackensack University-ის ექსპერტებმა გამოთვალეს. უძილო ღამეების გამო, რომელსაც შფოთიანობა და დეპრესია ემატება, კანადელებს ძალიან უჭირთ სამსახურში სამუშაოსთვის თავის გართმევა და დაკისრებულ მოვალეობას დროზე ვერ ასრულებენ. კანადაში უძილობას ბევრი სადაზღვევო კომპანია იმ სამედიცინო პირობად არ მიიჩნევს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. არადა, გამოკვლევების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს უკვე ქრონიკული უძილობა სტანჯავს. ამ პრობლემის მოგვარებას სუსტი სქესის წარმომადგენელთა 60% ალკოჰოლით ცდილობს. გამოკვლევებმა ისიც დაადგინა, რომ უძილობის გამო ადამიანი წელიწადში 27 სამუშაო დღეს აცდენს, რაც 5 მილიარდი დოლარის დანაკარგს იწვევს.




# ელექტროენერგიის მიღებას მთვარიდან აპირებენ

მსხვილი იაპონური სამშენებლო კომპანია Shimizu Corp პერსპექტიულ პროექტს ამუშავებს, რომლის განხორციელებაც კაცობრიობის წარმოდგენას ალტერნატიულ ენერგეტიკაზე სრულად შეცვლის. პროექტი ითვალისწინებს მთვარის ეკვატორის ირგვლივ, ეგრეთ წოდებული, ენერგეტიკული სარტყლის შექმნას მზის პანელებისგან, რომელთა სიმძლავრეც რამდენიმე დიდი ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. გეგმის მიხედვით, „სარტყლის“ ელექტროენერგიის გადმოცემა დედამიწაზე სპეციალური მიკროტალღური ან ლაზერული გადამცემებით მოხდება. მთვარის ასეთ ელექტროსადგურს თეორიულად შეუძლია, წელიწადში 13 ათას ტერავატ ენერგიაზე მეტი აწარმოოს. შედარებისთვის — აშშ-ში 2011 წელს დახლოებით 4 ათასი ტერავატი ელექტროენერგია გამოიმუშავეს. რთული არ იქნება იმის გამოთვლაც, რომ ასეთი მზის პანელებიანი სარტყელი, ყოველგვარი სირთულის გარეშე, კონტინენტებსაც მოამარაგებდა ენერგიით. მთვარეზე მზის ელემენტების ეფექტურობა რამდენიმე ასეულით მაღალია, ვიდრე დედამიწაზე იმის გამო, რომ ჩვენი პლანეტის თანამგზავრის ატმოსფერო გაცილებით გახშირებულია. გარდა ამისა, შუქის გზაზე არავითარი წინაღობა არ არის — მთვარეზე კი ცა უღრუბლოა, თუმცა არის ერთი მინუსი — პროექტის რეალიზება საკმაოდ ძვირი დაჯდება, საკმარისია წარმოვიდგინოთ, რამდენი კოსმოსური ექსპედიცია იქნება საჭირო მთვარეზე მზის პანელების განსათავსებლად, მაგრამ იაპონური კომპანია მაინც აგრძელებს მუშაობას და პროექტის განხორციელების დაწყების ვადაც კი დაასახელა — 2035 წელი.



# ჰოროსკოპი
## 17 დეკემბერი

**ვერძი** — თქვენი ფიქრი ბავშვებსა და ოჯახურ საქმეებს უკავშირდება, თუმცა არც დასვენება უნდა დაივიწყოთ. შეეცადეთ, საქმე ისე გადაანაწილოთ, რომ დღის ბოლოს მეგობრების მონახულებაც მოახერხოთ.

**კურო** — ვარსკვლავები არ გირჩევენ დიდ კამპანიაში მოხვედრას. შესაძლოა, უსიამოვნო ისტორიაში გაეხვიოთ, რომლის შედეგების განსაზღვრაც ძნელი იქნება. სჯობს, დღე შინ გაატაროთ.

**ტყუპები** — შესაძლოა ცრუ ინფორმაცია მიიღოთ — თუ დაიჯერებთ, იზარალებთ ან ახლობელთან იჩხუბებთ, ამიტომ ფაქტები საგულდაგულოდ გადაამოწმეთ და ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს.

**კირჩხიბი** — სასარგებლოა ექსპერიმენტის ჩატარება — ინტერესის სფერო აირჩიეთ და შეეცადეთ, თქვენს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს სხვა თვალით შეხედოთ. შეცვალეთ მოქმედების ტაქტიკა და ეცადეთ, არ აყვეთ პროვოკაციას.

**ლომი** — შემოქმედებითი წინსვლა გელით. ახალი იდეა, რომელიც კარგა ხანია მოსვენებას არ გაძლევთ, თავიდანვე მარცხისთვისაა განწირული, ამიტომ მოვლენები ობიექტურად შეაფასეთ და მხოლოდ საკუთარი ინტუიციის წყალობით მიიღებთ სწორ გადაწყვეტილებას.

**ქალწული** — ქალწულების ემოციური ფონი მკვეთრადაა მომატებული. მწვავედ აღიქვამთ ყველა წვრილმანს, რაც ერთის მხრივ დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ შექმნილ ვითარებაში, მაგრამ მეორეს მხრივ — არსებობს გარშემომყოფებთან ურთიერთობების გართულების რისკი.

**სასწორი** — დღეს მეგობრები გაიხსენეთ. ყოველდღიურმა პრობლემებმა მათი არსებობა ლამის დაგავიწყათ, ამიტომ დაუკავშირდით და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ.

**მორიელი** — ახალი ნაცნობობა ცხოვრებაში ცვლილებებს მოგიტანთ. ნუ შეგეშინდებათ და თამამად გადადგით სარისკო ნაბიჯი — დღეს ვარსკვლავები ნებისმიერ საქმიანობაში წარმატებას გპირდებიან.

**მშვილდოსანი** — შესაძლოა, უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდეთ და ამის გამო თავი ცუდად იგრძნოთ, მაგრამ თქვენი მოხერხებულობის წყალობით ამ მდგომარეობას ადვილად დააღწევთ თავს.

**თხის რქა** — რეალობა არ გხიბლავთ, მაგრამ ვითარების შეცვლისა თუ ჩვეულ კალაპოტში დაბრუნების მცდელობა არასასურველ შედეგს გამოიღებს. ასე რომ დაფიქრდით — იქნებ არ ღირს რამის შეცვლა?

**მერწყული** — ვარსკვლავები გირჩევენ, დრო მეგობრებთან ან ახლობლებთან ერთად გაატარონ. სამყაროსგან მხოლოდ პოზიტიურ ენერგიას იღებთ — თქვენი კავშირები გამყარდება და გარშემომყოფებთან ურთიერთობა უფრო ჰარმონიული გახდება.

**თევზები** — უამრავ განსხვავებულ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა. აღიჭურვეთ მოთმინებით, ყველა ერთნაირად თავაზიანი არ იქნება, მაგრამ ეცადეთ, არ გააფუჭოთ ურთიერთობა — სწორედ მათზეა დამოკიდებული თქვენი კეთილდღეობა.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2 | 1 | | 9 | 6 |
| | | | 5 | 8 | | | | 1 |
| | | | | | 3 | | 5 | |
| | 1 | 4 | | | | | | 5 |
| 8 | 9 | | | | | | 6 | 7 |
| 5 | | | | | | 8 | 2 | |
| | 3 | | 2 | | | | | |
| 7 | | | | 4 | 5 | | | |
| 6 | 8 | | 1 | 3 | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 9 | | 5 | | | |
| | 5 | | | | 8 | | 7 | |
| 3 | | | | 6 | | 8 | | |
| | 3 | 2 | | | | | 9 | |
| | | 1 | | | | 4 | | |
| | 6 | | | | | 7 | 3 | |
| | | 6 | | 1 | | | | 8 |
| | 2 | | 7 | | | | 5 | |
| | | | 4 | | 2 | | | 7 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | | 5 | 4 |
| | | 9 | 5 | | 3 | | 2 | 1 |
| 8 | | | | | | 9 | | |
| | | | 1 | 7 | 4 | 5 | | |
| | | | | | | | | |
| | | 3 | 2 | 5 | 8 | | | |
| | | 7 | | | | | | 9 |
| 3 | 9 | | 7 | | 2 | 4 | | |
| 2 | 8 | | | | 5 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | 9 | 8 | | 4 |
| | 9 | | 7 | 5 | | 2 | | |
| 6 | | 4 | | 1 | | | | |
| | 6 | | | | | 4 | 2 | |
| | | | | 7 | | | | |
| | 3 | 2 | | | | | 7 | |
| | | | | 2 | | 5 | | 9 |
| | | 3 | | 4 | 6 | | 1 | |
| 7 | | 5 | 8 | 9 | | | | |

# ახალი თაობის მედიკამენტებს ქმნიან



აშშ-ს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარები ახალი თაობის პრეპარატების შექმნაზე მუშაობენ — ეს აქტიური ნივთიერებებით გაჯერებული კაფსულებია, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად გადალახონ შინაგანი ბარიერები. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ ერთი პატარა ნანონაწილაკი, რომელიც ინსულინს შეიცავს, ლაბორატორიულ თაგვებში შაქრის დონეს მკვეთრად ამცირებს. სამწუხაროდ, ადამიანისთვის პრეპარატის ეს ფორმა ჯერჯერობით მიუწვდომელია, თუმცა მომავლის ნანომედიკამენტების საშუალებით, ადვილად მიაწვდიან აქტიურ ნივთიერებებს ტვინს, ფილტვებსა და პლაცენტას, რაც აქამდე შეუძლებელი იყო, მაგრამ სწავლულებმა ეს პრობლემა ჩვილ ბავშვებზე დაკვირვებით გადაჭრეს — ყურადღება მიაქციეს, რომ იმუნიტეტის გასაძლიერებლად დედის რძისგან ანტისხეულებს ითვისებენ, რომელიც უერთდება სწორი ნაწლავის კედლებზე არსებულ „რეცეპტორებს“ მოლეკულებით და სწორედ ამ გზით აღწევს სისხლძარღვებში.

# 26 წელი რუბიკის კუბიკს აწყობდა



ბრიტანეთის ქალაქ პოჩესტერის მცხოვრებს 26 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ რუბიკის კუბიკი აეწყო. ინგლისელმა გრემმა ეს ფერადი თავსატეხი საჩუქრად მაშინ მიიღო, როცა 19 წელი შეუსრულდა და პირობა დადო, რომ მას აუცილებლად ააწყობდა, დაპირების შესრულება კი მხოლოდ 46 წლის ასაკში შეძლო. გრემმა კუბიკის ამოსახსნელად თავისი ცხოვრების 27 400 საათი დახარჯა. ამ პერიოდში ბრიტანელმა უმაღლესი განათლება მიიღო და მშენებელი გახდა, დაქორწინდა და შვილებიც ჰყავს, თუმცა ხელში რუბიკის თავსატეხს გამუდმებით ატრიალებდა, რასაც არაერთი ოჯახური სკანდალი მოჰყოლია. როგორც იქნა, გრემის ცხოვრებაში ეს რთული პერიოდი დასრულდა — მან ააწყო კუბიკი და თავისუფლად ამოისუნთქა. ბრიტანელის „მიღწევით“ უკვე დაინტერესდნენ კუბიკის საერთაშორისო ასოციაციაში, მათი წარმომადგენლის განცხადებით, ასე დიდხანს მსოფლიოში არავის უწვალია რუბიკის თავსატეხის ამოხსნაზე — აწყობის მსოფლიო რეკორდი 7 წამს შეადგენს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 9 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 5 | 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 |
| 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 5 | 6 | 4 | 8 | 7 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 4 | 9 | 3 | 5 | 6 | 8 | 7 | 2 |
| 8 | 3 | 7 | 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 1 | 8 | 2 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 3 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 | 9 | 6 |
| 4 | 2 | 5 | 9 | 6 | 3 | 1 | 8 | 7 |
| 2 | 4 | 9 | 3 | 5 | 1 | 7 | 6 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 7 | 4 | 6 | 9 | 5 | 2 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 9 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 8 | 9 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 |
| 6 | 7 | 2 | 4 | 8 | 9 | 3 | 1 | 5 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 8 | 3 |
| 2 | 4 | 3 | 8 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 9 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 6 | 9 | 5 |
| 5 | 1 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 2 | 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 9 |
| 3 | 9 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 |
| 7 | 5 | 6 | 3 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 4 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 9 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 6 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 5 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 7 | 5 | 9 | 4 |
| 5 | 4 | 9 | 8 | 3 | 6 | 1 | 7 | 2 |

მე-12 გვერდი: 1. კანცლერი; 2. ენდემია; 3. ასია; 4. სპრინტერი; 5. პიციკატო; 6. რანჟირი; 7. ირადიაცია; 8. ტაიმი; 9. რაი; 10. პარნასი; 11. ტილი; 12. კელნერი; 13. აცრა; 14. ინია; 15. დიადემა; 16. ნადიმი; 17. ყანა; 18. აცტეკა; 19. ემილ; 20. განგი; 21. ინკი; 22. იდა; 23. გალილეი; 24. რაჟა; 25. ყადი; 26. ნაირა; 27. ციტრა; 28. მსგეფსი; 29. გორი; 30. იდეალი; 31. ანგარი; 32. ორიონი; 33. ნამი; 34. მარქსი; 35. საკურა; 36. ეტნა; 37. გირაგი; 38. გნუ; 39. აბაი; 40. კოდალაქ; 41. ოდინი; 42. ილია; 43. აპია; 44. საბო; 45. „ასკანიო“; 46. აზუ; 47. კუ; 48. „აკაი“; 49. „ნისანი“; 50. კონკა; 51. ფრი; 52. ბონსაი; 53. ბურე; 54. იაბო; 55. ქორი; 56. აგრიპა; 57. ლუპა; 58. ჩაი; 59. ტარა; 60. მი; 61. ოპიზა; 62. ლურჯი; 63. იგავი; 64. ამაო; 65. კები; 66. კანკანი.



# ყველაზე სასურველი საკვები

რა არის ეს ამოუცნობი აფროდიზიაკები — ნივთიერებები და კომპონენტები, რომელიც ამაღლებს ქალისა თუ მამაკაცის სექსუალურ სურვილს. ეს ცდუნებისა და ვნების ძლიერი საშუალებაა, რომელიც დაუვიწყარს გახდის ნებისმიერ პაემანს. ბევრი აფროდიზიაკი ჩვენს ყოველდღიურ მენიუშიც შედის, რაზეც ხშირად წარმოდგენაც არ გვაქვს. მაგალითად, კვერცხი – ეს პროდუქტი მდიდარია ბე-6 ვიტამინით, რომელიც ხელს უწყობს რეგულაციას ჰორმონალურ დონეზე და სტრესთან გამკლავებაში გვეხმარება. ამავე ვიტამინით მდიდარია ისპანახი, სტაფილო, ბარდა, მზესუმზირა, თევზი, მარწყვი — ეს კენკრა ანტიოქსიდანტებს შეიცავს და ორგანიზმში სისხლის ცირკულაციას აუმჯობესებს.

სტეიკი — მიკროელემენტები, რომელსაც საქონლის ხორცი შეიცავს, ზღუდავს პროლაქტინის — იმ ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც იწვევს სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებას. ნივთიერება, რომელიც პროლაქტინის წარმოქმნას უშლის ხელს, არის ყავისფერ ბრინჯში, ხორბალში, მწვანე ბოსტნეულსა და ყველში.

ნიორი — ამ პროდუქტის აქტიური ელემენტები აფართოებს სისხლძარღვებს და აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას, შოკოლადი კი ტვინს აიძულებს, გამოყოს სეროტონინი — ჰორმონი, რომელიც პასუხისმგებელია სიამოვნებაზე.

ფორთოხალი — პროდუქტი, რომელიც დიდი რაოდენობით „ცე“-ვიტამინს შეიცავს, არა მარტო ეფექტურად ებრძვის გაციებას, არამედ ზრდის ჰორმონ ოქსიტოცინის დონეს, რომელიც ადამიანებს ჩახუტების სურვილს უჩენს.

შვრიის ფაფა — გამოკვლევები ადასტურებს, რომ შვრიის ფაფა ტესტოსტერონის დონეს ზრდის, კაკალი კი შეიცავს ცხიმმჟავებს.

# სიმინდი გლობალური დათბობის წინააღმდეგ

ფერმერებს შეუძლიათ, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში დაგვეხმარონ მარცვლოვანი კულტურების მოყვანით, რომლებიც მზის სხივებს აირეკლავს, — აცხადებენ ბიოლოგები ბრისტოლის უნივერსიტეტიდან. მათი თქმით, მარცვლოვანი კულტურებიდან ზოგიერთი მზის ენერგიის გარკვეულ რაოდენობას ირეკლავს და შედეგად ჰაერის ტემპერატურაც ნაკლებად იმატებს. არსებული მონაცემების მიხედვით, სწავლულებმა გამოთვალეს, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ რაიონში მოყვანილი სიმინდი და ხორბალი პლანეტის გაგრილებას 0,1 გრადუსით შეძლებს, თუმცა როგორც სკეპტიკოსები აცხადებენ, ამგვარი ეფექტის მიღება დედამიწის სხვა ნაწილში თითქმის შეუძლებელია — პლანეტის გაგრილება ასეთი გზით იქ ღრუბლიანობის გამო შეუძლებელი იქნება.





1. კერძო სასტუმრო კვებით
2. გონება-მახვ. მოკლე გამონათ-ქვამი
3. საქონლის წვნიანი საკვები
4. პარიზის ერთ-ერთი მუზეუმი
5. თანამდე-ბობის პირის სამუშაო ოთახი
6. სამარხი ნაგებობა
7. ბიბ-ლიური ისაკის ძე
8. მოქმედი ვულკანი სიცილიაზე
9. ჰა-რამხანის მსახური ქალი
10. ჰავაელთა მინიატურ. გიტარა
11. თოვლის ჯიქი
12. მთის წაწვეტე-ბული მწვერვალი
13. ქალაქი-პორტი ესპანეთში
14. დოღი გრძელ მანძილზე საქართველ.
15. იაპონ. ელექტრო-ტექნიკის ფირმა
16. ერთგვარი თეთრი თიხა
17. ნოველა „კარმენის" ავტორი
18. დაბადების მოწმობა
19. დიდი ზომის მუსიკალური ნაწარმოები
20. ადამია-ნის ქვედა კიდური
21. ჩვევა, ჩვეულება
22. „თეთრი ოქრო"
23. ადიღეს დედაქალ.
24. აკრო-ბატ. ნახტომი გადაყი-რავებით
25. ლე-გენდარული ეთიოპიელი მარათონელი
26. ნახევრად მაიმუნის სახეობა
27. არაოფი-ციალური მაკლერი ბირჟაზე
28. თევზის ძვალი
29. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
30. ინდ. მსახიობი აიშვარია ...
31. გრძელ-ბოლოიანი თუთიყუში
32. მსახიობი ... თურმანი
33. მუსიკალუ-რი ინ-სტრუმენტი
34. შვიდის მომდევნო რიცხვი
35. ესკიმოს-თა დიდი სატვირთო ნავი
36. მეკარის მოძველებ. სახელწოდ.
37. მიმართ-ვა ფრანგი მამაკაცის-დმი
38. ქართველი მწერალი ქალი
39. სახის კუნთების მოძრაობა
40. მღვდლის სამოსელის ნაწილი
41. იაპონური თეატრის სახეობა
42. ჩოგ-ბურთელი ... სამპრასი
43. მცირე-კალიბრიანი სანადირო თოფი
44. ოიდიპოსის მამა
45. გა-ზაფხულზე ნაპარსი მატყლი
46. ინდოელთა წმინდა ყვავილი
47. ფუჭი, უშედეგო
48. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
49. მწერალი ... ტოლსტოი
50. საჭმელი სოკო
51. შინაური ცხოველი
52. გერდას მეგობარი ბიჭუნა
53. თავად-აზნაურული ტიტული ინგლისში
54. დავით სოსლანისეროვნება
55. „ტოიოტას" მოდელი
56. გზა-ლათინუ-რად
57. ბუ-ქარესტის საფეხბურ-თო კლუბი
58. ვენეციელი მავრი
59. ცხენის კუდის ბე-წვი
60. მუსი-კალური გამის VII ნოტი
61. ხე-ლოვნების დარგი
62. ხვიარა მცენარე
63. დუმბა-ძის „... ვხედავ მზეს"
64. უკრაინის პარლა-მენტი
65. იტალიური „ნიღბების კომედიის" პერსონაჟი
66. ფარფლ-ფეხიანი ძუ-ძუმწოვარი





გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობა-ში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


## დიდუბელები გამგებელს მადლობას უხდიან

„უამინდობამ სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა და რომ არა დიდუბის გამგებელი ლევან მხეიძე, შპს „არადელის" ხელმძღვანელო ბიჭიკო ტიტვინიძე, მისი მოადგილე ზურაბ ჯამალაშვილი და საერთოდ, მთელი „არადელის" მუშათა კოლექტივი, ცივ ზამთარს ვერ გადავურჩებოდით. ამიტომაც, გამოჩენილი ოპერატიულობისა და გულისხმიერებისთვის, კორპუსის სახელით, მადლობას ვუხდით ლევან მხეიძეს, ბიჭიკო ტვიტვინიძეს, ზურაბ ჯამალაშვილსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანა და ყურადღება დროულად მოგვაქცია. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა ვაჟკაცები!" — ნათქვამია სამადლობელო წერილში, რომელსაც ხელს, ევდოშვილის ქ. №2/10, VI კორპუსის სახელით, ბექა მამფორია და ნინო მარკოზაშვილი, აწერენ.


## შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიამენეჯერი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.